www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 26 ივლისი, 2003 წელი. №203 (415)

ფასი 30 თეთრი

მთავრობა ჟონგლიორობს, მოშიმშილეთა მდგომარეობა კი მძიმდება

გაყინული პენსიების გაცემის მოთხოვნით, "ნაციონალური მოძრაობის" წევრების შიმშილობის მეათე დღეს, მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაც აშკარა გახდა.

გუშინ, თურქეთში გამგზავრების წინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო კანცელარიაში ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, მან და საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრეს, მაგრამ, ძირითადად, მაინც "ნაციონალური მოძრაობის" წევრთა შიმშილობის აქციაზე გაამახვილეს ყურადღება. მისი თქმით, პრეზიდენტი შეწუხებულია შექმნილი მდგომარეობით.

"ამ პრობლემის მოგვარება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა. ცუდია, რომ ასეთ ვითარებაში უწევს ხელისუფლებას საკითხის გადაწყვეტა. ის ფორმა, რომელსაც მიმართეს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა, გამართლებული არ არის, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენი დეპუტატების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გართულდეს და ის მოთხოვნები, რასაც ისინი აყენებენ, შეძლებისდაგვარად შესრულდეს," - განაცხადა ბურჯანაძემ.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ბურჯანაძე პარლამენტის ვიცე-სპიკერთან გიგი წერეთელთან და პარლამენტარ ალეკო შალამბერიძესთან ერთად იუსტიციის სამინისტროში მივიდა.

"უნდა მოიძებნოს შუალედური მექანიზმი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებასთანაც შესაბამისობაში მოვა და მთავრობის რეალურ პრობლემებსაც გაითვალისწინებს," - მოშიმშილეებთან დახურულ კარს მიღმა ერთსაათიანი საუბრის შემდეგ განაცხადა ბურჯანაძემ. მისი თქმით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ინციდენტი ამოიწუროს და ეს ყველაზე მეტად აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელეწიფება.

"ნაციონალები" კი გუშინ, ერთადერთ კომპრომისად კვლავ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას და ქუთაისში და ზესტაფონის რაიონში გაყინული პენსიების დარიგებას ასახელებდნენ.

სიტუაციის გარკვევამდე, თურქეთში ვიზიტი გადადო და თბილისში დარჩა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი.

გუშინ, საღამოსვე "ნაციონალური მოძრაობის" წევრების შიმშილობის გამო პრეზიდენტმა საგანგებო თათბირი გამართა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, იუსტიციის მინისტრის, საპენსიო ფონდის ხელმძღვანელის, ფინანსთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობით. შეხვედრაზე პენსიების გასტუმრების მექანიზმი განიხილეს.

სხდომის დატოვების შემდეგ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრმა განაცხადა, რომ ორშაბათიდან დაიწყება 2001 წლის საპენსიო დავალიანებებისა და მიმდინარე საპენსიო დავალიანებების დაფარვა. ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, იმაშიც დაერწმუნებინათ ჟურნალისტები, რომ ეს გადაწყვეტილება "ნაციონალების" პროტესტის გამო არ მიღებულა. მთავრობა ისევ საუბრობს ფასიან ქაღალდებზე და აგრძელებს პარლამენტზე აპელირებას.

დეტალური მექანიზმი დავალიანებების გასტუმრებისა გუშინდელი შეხვედრის შემდეგ არ გამოცხადებულა.

იმ დროისათვის, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სახელმწიფო კანცელარიას პენსიების დავალიანების ნაწილობრივ გასტუმრების შეპირებით ტოვებდნენ, მოშიმშილე "ნაციონალების" მდგომარეობა უკვე უკიდურესად დამძიმებული გახლდათ.

24 საათი

ამინდი

თბილისი	29	☁
ბათუმი	23	☂
ქუთაისი	27	☂
სოხუმი	26	☁
ცხინვალი	23	☂
თელავი	23	☂

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.4625
გირვანქა სტერლ	3.4452
რუბლი	0.0705

რუსული ენერგოექსპანსია

ზურაბ ჟვანია მთავრობას 25 მილიონი დოლარის მოძიებას სთხოვს

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი განგაშს ტეხს იმ საფრთხის გამო, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოს რეალურად დაემუქრება. ზურაბ ჟვანიას თქმით, დასკვნით ფაზაშია შესული მოლაპარაკებები "ეი-ი-ეს თელასსა" და "რაო-ეეს"-ს შორის, რომლის დასრულების შემდეგაც, ამერიკული კომპანიის აქციების 75 პროცენტი რუსული მხარის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება. "თუ "ეი-ი-ეს თელასი" რუსეთის ხელში გადავა, მაშინ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ენერგომომარაგების სისტემაში აბსოლუტური მონოპოლისტი გახდება და ეს პრობლემა ათწლეულების განმავლობაში მძიმე ტვირთად დააწვება ქართულ სახელმწიფოს. გარიგების შემთხვევაში, საქართველო თავისი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს დაკარგავს", - აცხადებს ზურაბ ჟვანია. გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ეი-ი-ეს თელასის" რუსეთისთვის გადაცემა, თავისი მნიშვნელობით, შეიძლება გაუტოლდეს ისეთ სტრატეგიულ საკითხს, როგორიც არის, მაგალითად, რუსეთის სამხედრო ბაზების ხანგრძლივი ვადით საქართველოს ტერიტორიაზე დატოვება.

გიორგი ასანიშვილი

"გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელის შეშფოთებას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ საუბარია რუსეთისთვის არა მხოლოდ "ეი-ი-ეს თელასის" გადაცემაზე, არამედ იმაზეც, რომ რუსების კონტროლის ქვეშ გადავიდეს ენგურჰესი და საერთოდ, პრაქტიკულად, მთელი ქართული ენერგოსისტემა. ჟვანიას ერთობ ნიშანდობლივად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში რუსეთმა ხელში ჩაიგდო დავალიანებების მქონე სტრატეგიული ენერგოობიექტები ბელორუსსა და სომხეთში. **"სრულიად ნათელია, რომ რუსეთი იგივე სქემით იმოქმედებს საქართველოშიც,"** -აღნიშნავს ზურაბ ჟვანია.

გაგრძელება A3 გვერდზე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გადასარჩენად ზურაბ ჟვანია სოფლის კლუბის ასაშენებელ თანხას ითხოვს.

„გაზპრომმა" შესაძლოა, მირცხულავა შეიწიროს

ახალი ენერგეტიკული სკანდალი, რომელიც საქართველოში რუსული "გაზპრომის" შემოსვლას უკავშირდება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს კვლავ ძაბავს. ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი, რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ენერგოკომპანიის შემოსვლას, ჩვენი ქვეყნის ენერგოანექსიად ნათლავს. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე კი აცხადებს, რომ "გაზპრომის" საქართველოში დაკმვიდრების შემთხვევაში, ეს პირდაპირი ალტერნატივა იქნება შაჰდენიზის პროექტისა, რომლითაც საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლია. ამასთანავე, დავით გამყრელიძე ამ ენერგოაგრესიას პირდაპირ უკავშირებს რუსეთის პოლიტიკურ ამბიციებს და აცხადებს, რომ "საფრთხე არა მხოლოდ საქართველოს ენერგოსისტემას, არამედ მთლიანად ქვეყნის დამოუკიდებლობას ემუქრება".

თამარ მჭედლიშვილი

მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა ამ შეთანხმების მხოლოდ ზოგად პრინციპებს ახმოვანებს, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, ინგლისურ კომპანია "ნეფთე კომპასზე" დაყრდნობით, კონკრეტულ პუნქტებზე საუბრობს.

როგორც ირკვევა, გუშინ ამ კომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, რუსეთის ბუნებრივი აირის მონოპოლისტმა კომპანია "გაზპრომმა" საქართველოს მთავრობასთან 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს გაზპრომის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. შეთანხმების თანახმად, "გაზპრომი" მთლიანად აკონტროლებს საქართველოში ბუნებრივი აირის მიწოდების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის საკითხებს. **"შეთანხმება გულისხმობს ადგილობრივ სატრანზიტო საშუალებებთან დაკავშირებული პროექტების ერთობლივ შემუშავებას; რუსეთს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გაზის სექტორის საპრივატიზაციო**

გაგრძელება A3 გვერდზე

ხელისუფლება საქართველოს რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში აბრუნებს

"გაზპრომი" საქართველოს გაზის სექტორის პრივატიზებაში მონაწილეობას გეგმავს. დასავლეთის ოფიციოზისა და საქართველოს პოლიტიკური წრეების მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამის თაობაზე შეთანხმება საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ დავით მირცხულავასა და "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს ალექსეი მილერს შორის უკვე ხელმოწერილია.

მაია ურუშაძე

ხუთი დღის წინ, ანუ 21 ივლისს, ძალაში შევიდა 25-წლიანი შეთანხმება "სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ", რომელიც "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ მოსკოვში, "გაზპრომის" სათაო ოფისში 1 ივლისს გააფორმეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ღია წერილი

უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

კარგა ხანია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული ტკივილი და გაუგებრობა გვივსებს სულს და უპასუხო შეკითხვები აუტანელ ტვირთად გვექცა.

ეს კითხვები არა ერთხელ დაისვა სხვადასხვა პუბლიკაციებში, მაგრამ ისიც არ ვიცით, მოაღწიეს კი მათ თქვენამდე?

ამიტომ გავიმეორებთ მათ:

"ნუთუ ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ხმა არ უნდა გავიგონოთ?"

"ნუთუ თბილისელებმა მხოლოდ ახალი წლის ღამეს უნდა იხილონ თავიანთი ეპისკოპოსი?"

"სად დაიკარგა ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, რომლის ხმა უნდა გვაკურთხებდეს, განგვსჯიდეს, გვმოძღვრავდეს?... დაიკარგა ეს ხმა, აღარ არის... მის მაგიერ კი რაღაც უსახური, ბიუროკრატიული აპარატი, კოლექტიური სუბიექტი, საქართველოს საპატრიარქო გვესაუბრება" ("24 საათი", 2003).

მართლაცდა განწყვეტილია კავშირი საზოგადოებასა და ეკლესიის მწყემსმთავარს შორის. აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ კავშირის გაწყვეტაში უდიდეს როლს საპატრიარქოს აპარატი ასრულებს. სწორედ ეს ადამიანები ჩადგნენ საზოგადოებასა და პატრიარქს შორის, სწორედ ესენი განამტკიცებენ სასულიერო პირთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელმაც მოახერხა და ფრთები შეუკვეცა საქართველოს ეკლესიის პატრიარქის დიდ მისწრაფებებს, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსეულ ჩართვას რომ გულისხმობდა პროგრესული კაცობრიობის სულიერ პულსაციაში.

უწმინდესო! განა თავად საპატრიარქომ არ მოუწყო ობსტრუქცია 1999 წელს საქართველოში სტუმრად მყოფ რომის პაპს? განა მან არ მოუწოდა მრევლს, არ დასწრებოდა პაპის მიერ აღსრულებულ წირვას, მაშინ როდესაც თქვენ თავად პაპთან ერთად აღანთეთ სანთლები სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. ვის დავუჯეროთ, საპატრიარქოს პრესცენტრსა თუ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს? რა გაიგოს ხალხმა?

განა საგანგაშო არ არის, რომ საპატრიარქოს თანამშრომლები თქვენი და სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ახორციელებენ ზეწოლას მასმედიის გარკვეულ ნაწილზე და ავრცელებენ საღი სარწმუნოებისათვის აბსოლუტურად მიუღებელ, ობსკურანტულ შეხედულებებს?! ისინი ასევე გაურბიან საერო საზოგადოებასთან დიალოგს, უკრძალავენ ადამიანებს მთელ რიგ ორგანიზაციებში, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაცია "კავკასიურ სახლში" მისვლას და მათთან თანამშრომლობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

სიტყვის თავისუფლების გადასარჩენად

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სიტყვის თავისუფლების მომავალმა პრესა და არასამთავრობო სექტორი შეაფიქრიანა, რას იტყვის ხელისუფლება.

მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებას დემოკრატიისკენ აღებული გეზის სიმტკიცეს უდასტურებს, იგივე სახელისუფლებო საპარლამენტო ძალების მცდელობით, პარლამენტში შევიდა და საარჩევნო ალიაქოთის პერიოდში პირველი მოსმენით "გაიპარა" კანონპროექტი, რომელიც სიტყვის თავისუფლების მნიშვნელოვნად შეზღუდვას ისახავს მიზნად. კანონპროექტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის. ნებისმიერი ინფორმაცია, იქნება იგი ცრუ თუ "სხვაგვარად სახელის გამტეხველი" (კანონში ჩაწერილი დეფინიციაა), ან პატივისა და ღირსების შემლახველი (ნებისმიერ კომპრომატს შეიძლება მოერგოს ეს განსაზღვრებაც), შესაძლოა, ინფორმაციის გამავრცელებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლად იქცეს. ამ კანონპროექტის დამტკიცების მცდელობამ და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის აშკარა საშიშროებამ გააერთიანა ქართული მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც გუშინ თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში შეიკრიბნენ. მათ შეიმუშავეს მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის ბიუროსადმი. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბლერსაც და ბუშსაც მძიმე დღეები უდგათ

შოთა უტიაშვილი

პარასკევს ბრიტანეთში გამართულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა ცხადყო, რომ დევიდ კელის თვითმკვლელობის შემდეგ ტონი ბლერის პოპულარობა საგრძნობლად შემცირდა.

დევიდ კელის სახელი უკავშირდება იმ ბრალდებებს, რომელთა მიხედვითაც ბრიტანეთის მთავრობამ "საგრძნობლად შეალამაზა" ერაყის დოსიე, რათა მოსახლეობა ომის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. მისმა თვითმკვლელობამ ბლერის ექვსწლიანი პრემიერობის მანძილზე ყველაზე სერიოზული კრიზისი გამოიწვია.

"დეილი ტელეგრაფის" ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ბრიტანელთა 61 პროცენტი მიიჩნევს, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ მოვლენების განვითარებაზე კონტროლი დაკარგა და ახლა ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

ტონი ბლერს და ჯორჯ ბუშს პოლიტიკური მომავლისთვის სერიოზული გარჯა მოუწევთ.

"...მოსკვა ნე კავკაზ!"

რუსუდან ნიკურაძე
საკ .კორ. მოსკოვში

მოსკოვში მომხდარი ტერაქტების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ხალხს უმტკიცებს, რომ ეფექტურად ებრძვის და უმოწყალოდ ავლენს მოსკოვის სადარბაზოებში შეყუჟულ ჩეჩენ ტერორისტებსა და "კაფე-ჰაუსებში" მოკალათებულ შაჰიდ ქალებს.

შაჰიდი გოგონების ლანდი მოსკოვის ყველა მეტროსა და მიწისქვეშა გადასასვლელში მოსვენებას უფრთხობს მოსახლეობას.

ანტიკავკასიურ ისტერიას რუსეთის დედაქალაქში თავისი უხილავი იდეოლოგები ჰყავს. როგორც წესი, იდეოლოგებად ადგილობრივი ულტრანაციონალები ან სპეცსამსახურები გვევლინებიან.

მოქალაქეთა ინტერსების დამცველი მილიციის რიცხვობრივ შემცირებას ქუჩებსა და მოედნებზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სპეცაგენტების მოჭარბებით ხსნიან. ხსნიან იმითიც, რომ მოსკოვის ომონი და სეპცრაზმები სტარატეგიული დანიშნულების ობიექტების დასაცავად გაამწესეს. ამ ვერსიით თავის დამშვიდება რომ არ შეიძლება, გაზეთ "კომერსანტის" ჟურნალისტებმა უკვე დაამტკიცეს. მათ ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: შაჰიდის ფორმაში გამოწყობილი კორესპონდენტი გოგონა, შავი ზურგჩანთით ხელში, მთელი დღე ნერვიულად მოძრაობდა მეტროში, რესტორნებსა და იმ კაფეში, სადაც უკანასკნელი ტერაქტი მოხდა - შაჰიდის ქმრის განაღმვისას ერთ-ერთი თანამშრომელი დაიღუპა. ჟურნალისტური ექსპერიმენტის დროს მილიციამ ცხვირწინ მოტრიალე "შაჰიდი" ვერანაირად ვერ აღმოაჩინა.

სამაგიეროდ, ამ დღეებში კრემლმა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მეტად ეფექტურ მექანიზმს მიაგნო: კრემლის წინ უკვე ველარ გაივლი, ვერც წითელ მოედანზე ისეირნებ. ორივე მხრიდან მისადგომები გადაიკეტა. ტურისტული სეზონის პიკის დროს მოსკოვის სტუმრებს რუსეთის გულის,

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

"ეი-ი-ეს თელასს" კვლავ პრობლემები აქვს

მაია ურუშაძე

საბითუმო ბაზარმა "ეი-ი-ეს თელასისთვის" ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვის ბრძანება გასცა. ამის მიზეზად იქცა, ოფიციალურად, ბაზრისთვის ბოლო სამი თვის მანძილზე ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა. ბაზრის მონაცემებით, "ეი-ი-ეს თელასი" ყოველთვიურად მოხმარებული ენერგიის მხოლოდ 78 პროცენტს იხდის. შესაბამისად, ბაზარმა ის 22 პროცენტით შეზღუდა.

თუმცა, როგორც ჩანს, კომპანიის შეზღუდვის გადაწყვეტილება ამჯერად უფრო ენგურჰესზე ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებამ დააჩქარა. ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე მიმდინარე სამუშაოების გამო, ენერგოსისტემას 100 მეგავატამდე ელექტროენერგია მოაკლდა, რამაც საბოლოო ჯამში "ეი-ი-ეს თელასის" ელექტრომომარაგების განახევრება გამოიწვია.

თავად კომპანიაში ყოველივე ამას იმ კამპანიის გაგრძელებად აღიქვამენ, რომელიც ბოლო ერთი წელია, ამერიკელი ინვესტორის წინააღმდეგ წარმოებს.

პრეზიდენტი სავალუტო ფონდის ნებართვას ელის

გუშინ სახელმწიფო მინისტრთან მთავრობის კიდევ ერთი "მინისხდომა" მოეწყო. ავთანდილ ჯორბენაძესთან მინისტრებს კვლავ ბიუჯეტის შეკვეცის საკითხი და, შესაბამისად, სხვადასხვა სამინისტროებისათვის შესამცირებელი ხარჯების საბოლოო ვარიანტი უნდა შეეთანხმებინათ. მინისტრები აცხადებდნენ, რომ "შიდა პრობლემები გადაწყვეტილია", მაგრამ საბოლოოდ "გამოყვანილი" ციფრები საერთაშორისო სავალუტო ფონდთანაა შესათანხმებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მთავრობამ "გულმოდგინედ" იმუშავა და ფონდს, თურმე, მის მიერ მიცემულ რეკომენდაციაზე უკეთესი ვარიანტი შესთავაზა.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის აკაკი ზოიძის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს უწყებებთან შეჯერებული ბიუჯეტის სეკვესტრის ბოლო ვარიანტი ამ სამი დღის წინ გაუგზავნა. **"ამ დოკუმენტის მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მხოლოდ 94 მილიონი ლარით შემცირდება, რადგან აქცენტი უფრო შემოსავლების გაზრდაზეა გადატანილი,"** – განაცხადა ზოიძემ. ამ "აქტიურობის" საბაბი მთავრობას იმან მისცა, რომ, როგორც წესი, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია ზაფხულის ბოლოსკენ შეინიშნება ხოლმე.

ასეა თუ ისე, ჩანს, პარლამენტისთვის წინა ორშაბათს წარსადგენ დოკუმენტს მანამდე ვერ ეღირსება პრეზიდენტის ხელმოწერა და დღის სინათლე, სანამ მთავრობა სავალუტო ფონდის ოფიციალურ დასტურს არ მიიღებს.

24 საათი

მთავრობის დევიზი: ყველაფერი ბიუროკრატიას, მაგრამ არაფერი ხალხს

ფინანსთა სამინისტრომ, როგორც იქნა, გვაღირსა ბიუჯეტის კორექტირების პროექტი. ცვლილებების აუცილებლობა ბიუჯეტის კანონის დამტკიცებამდეც ნათელი იყო. თუმცა, ამ მთავრობის ხელში ბიუჯეტის რეალობასთან დაახლოებაზე დაგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებაც კი მისასალმებელია.

კორექტირების მხარდაჭერის მიუხედავად, წარმოუდგენელია დაეთანხმო ხარჯების შემცირების წარმოდგენილ პროპორციას.

განვიხილოთ ხარჯები სახელმწიფოს კონკრეტული ფუნქციების მიხედვით.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, საფინანსო და საგადასახადო საბიუჯეტო პოლიტიკის და საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ფუნქციას 14,6 მილიონი ლარი აკლდება. ასევე, დაახლოებით, 2 მილიონი ლარით მცირდება სტატისტიკური ინფორმაციის, ეკონომიკის და სახელმწიფო ქონების მართვის ფუნქციის დაფინანსება. თუმცა, იმავე ნაწილში 17,4 მილიონი ლარით გაიზარდა საერთო ხასიათის დანარჩენი მომსახურების ხარჯები.

საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების ფუნქციას დაფინანსება უმცირდება 6,4 მილიონი ლარით - 900 ათასი ლარით ნაკლებით, ანუ 5,5 მილიონი ლარით მცირდება განათლების და ჯანდაცვის ხარჯები. ჩანს, რომ "ხელისუფლების ხალხისგან დაცვა" და განათლება-ჯანდაცვის ხარჯები თანაბრად პრიორიტეტულია მთავრობისათვის.

საერთოდ, კატასტროფული მდგომარეობაა სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებაში. ხარჯები 8,7 მილიონი ლარით მცირდება, მათ შორის - სახელმწიფო მოსამსახურეთა საპენსიო პროგრამებს აკლდება 5,2 მილიონი ლარი.

მთავრობის პრიორიტეტი ნათელია - ყველაფერი ბიუროკრატიას და ხალხისგან ხელისუფლების დამცავ სტრუქტურებს, მაგრამ არაფერი ხალხს.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში

ათას ლარებში

[illegible]	დასახელება	[illegible]	[illegible]	[illegible]
01 00	[illegible]	315,075.7	310,272.3	4,803.4
01 01	[illegible]	95,705.2	81,100.3	14,604.9
01 03	[illegible]	19,500.2	18,032.0	1,468.2
01 04	[illegible]	29,798.3	45,207.8	-15,409.5
01 04 01	[illegible]	3,663.2	3,216.0	447.2
01 04 02	[illegible]	3,150.1	2,395.6	754.5
01 04 03	[illegible]	1,075.0	239.2	835.8
01 04 04	[illegible]	21,000.0	38,400.0	-17,400.0
01 05	[illegible]	170,042.0	165,832.2	4,209.8
02 00	[illegible]	74,462.3	67,152.4	7,309.9
02 01	[illegible]	73,755.1	66,444.2	7,310.9
02 04	[illegible]	707.2	708.2	-1.0
03 00	[illegible]	119,189.8	112,762.7	6,427.1
03 02	[illegible]	20,947.7	19,993.6	954.1
03 03	[illegible]	10,149.7	9,549.4	600.3
03 04	[illegible]	83,804.5	78,931.8	4,872.7
04 00	[illegible]	77,398.3	74,955.0	2,443.3
04 02	[illegible]	894.2	854.0	40.2
04 03	[illegible]	9,073.6	8,791.2	282.4
04 04	[illegible]	56,397.1	54,763.3	1,633.8
04 08	[illegible]	6,528.9	6,242.3	286.6
05 00	[illegible]	61,449.9	58,394.0	3,055.9
05 06	[illegible]	61,449.9	58,394.0	3,055.9
06 00	[illegible]	290,926.8	286,228.0	4,698.8
06 01	[illegible]	223,652.9	218,452.9	5,200.0
06 01 02	[illegible]	203,627.9	198,427.9	5,200.0
06 03	[illegible]	61,231.8	57,731.8	3,500.0
06 03 01	[illegible]	61,231.8	57,731.8	3,500.0
07 00	[illegible]	4,787.0	2,912.4	1,874.6
07 05	[illegible]	4,787.0	2,912.4	1,874.6
08 00	[illegible]	25,907.9	23,873.7	2,034.2
09 00	[illegible]	37,264.5	35,071.2	2,193.3
09 02	[illegible]	36,500.0	34,400.0	2,100.0
09 02 01	[illegible]	36,500.0	34,400.0	2,100.0
09 03	[illegible]	764.5	671.2	93.3
10 00	[illegible]	29,029.1	25,040.5	3,988.6
10 01	[illegible]	24,273.7	21,035.9	3,237.8
10 02	[illegible]	2,708.1	2,291.3	416.8
10 03	[illegible]	996.7	945.3	51.4
10 05	[illegible]	1,376.7	1,093.2	283.5
11 00	[illegible]	1,501.2	1,047.9	453.3
12 00	[illegible]	54,846.2	47,202.8	7,643.4
12 01	[illegible]	51,200.0	46,200.0	5,000.0
12 01 01	[illegible]	51,200.0	46,200.0	5,000.0
12 06	[illegible]	3,630.6	989.8	2,640.8
12 08	[illegible]	15.6	12.8	2.8
13 00	[illegible]	4,201.2	3,522.6	678.6
13 02	[illegible]	358.7	284.9	73.8
13 03	[illegible]	856.2	757.1	99.1
13 04	[illegible]	1,118.0	824.7	293.3
13 05	[illegible]	1,942.5	1,735.9	206.6
14 00	[illegible]	343,985.5	334,105.5	9,880.0
14 02	[illegible]	81,447.0	71,647.0	9,800.0
	[illegible]	1,478,980.0	1,417,550.0	61,430.0

"ვინც წინასაარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს, თაღლითია"

ბექა სისაური
ქუთაისიდან

რამდენიმე დღეა "ნაციონალების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი რიგ-რიგობით იმერეთის ყველა რაიონს სტუმრობს. შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილმა საარჩევნოდ "რკინის ქალამნები ჩაიცვა" და იმერეთი შარა-შარა მოიარა. სააკაშვილი თავის პოტენციურ ამომრჩევლებს სოფლის კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში ხვდებოდა. თავად "ნაციონალთა" ლიდერი აღნიშნულ შეხვედრებს დადებითად აფასებს და თავადვე აღიარებს, რომ ვიზიტი მისი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ნაწილია. **"პოლიტიკოსი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს, თაღლითია. ჩვენთვის იმერეთში ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სადღაც საჩხერეში ერთ-ორი გამგებლი აგვიხტა, მაგრამ ხალხმა ისინი კინაღამ ჩაქოლა და აბუჩად აიგდო,"**- განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილმა 15 წუთში მთავრობაც გალანძღა და რწმუნებულიც ზედ მიაყოლა.

რაც შეეხება ხალხს, უმეტესობა სააკაშვილის ვიზიტებს კეთილგანწყობით შეხვდა, თუმცა ნიჰილიზმით გაჯერებული დამოკიდებულებაც შეიმჩნეოდა. აღნიშნული ვიზიტის შემდეგ სააკაშვილმა, შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისშიც შემოირბინა. იგი ქალაქში სულ 15 წუთი იმყოფებოდა და მერიის ფოიეში მოშიმშილე საკუთარი პარტიის წევრებსა და მერიის წინ მყოფ 30 პენსიონერს შეხვდა. მიუხედავად დროის სიმცირისა, მან მთავრობის გალანძღვაც მოასწრო და რწმუნებულიც ზედ მიაყოლა: **"სამწუხაროდ, მთავრობამ ხალხისთვის სასარგებლო რესურსი ამოწურა. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, რომ საღ აზრს მოუხმოს... გუშინ, იმერეთის ადგილობრივი ადმინიტრაციის დავალებით, გაავრცელეს ხმები, რომ თურმე, დენის გათიშვა სააკაშვილის მოწყობილია. მე მინდა გავაფრთხილო ჭორიკანა გუბერნატორი და მისი მოადგილე, უშუქობა იმას არ ნიშნავს, რომ ხალხიც ბნელია; მოსახლეობის გაბრიყვებას თავი გაანებონ და თავის საქმეებს მიხედონ. რა მეთოდებითაც არ უნდა მებრძოლონ შევარდნაძე და მისი გუბერნატორები, ხალხს სიმართლეს მაინც ვერ დაუმალავენ,"** - განაცხადა "ნაციონალთა" ლიდერმა.

ქუთაისში სააკაშვილის ვიზიტი, "ნაციონალების" შიმშილობის მეცხრე დღეს დაემთხვა. ამ ეტაპზე შიმშილობაში მონაწილე პირთა ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. ისინი დაბალ წნევას, თავის ტკივილებს და სხვა გართულებებს უჩივიან. **"ჩვენი ორგანიზმი გამოფიტულია, მაგრამ რომ შევეწიროთ, აქციას მაინც გავაგრძელებთ, მთავრობის ილუზიები უკვე ყელში ამოგვივიდა,"** - აცხადებენ აქციის წევრები. სააკაშვილმა კი ქუთაისიდან აბაშას მიაშურა.

პრეზიდენტმა, შესაძლოა, რეზიდენციისკენ მიმავალი ტრასა დათმოს

საკრებულოსა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის მიერ შეპირებული სასეირნო-დასასვენებელი ბულვარი თბილისელებს, შეიძლება, ზაფხულის ბოლო თვეში ეღირსოთ. კანცელარიაში ამ საკითხს უკვე განიხილავენ და ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტმაც მერიისგან გარკვეული დავალება მიიღო.

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულო თბილისელებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მეტეხიდან რესტორან "კრწანისამდე" სასეირნო ბულვარის მოწყობას ჯერ კიდევ მაისში შეპირდა. თბილისობაზე" ეს იდეა ერთი დღით განხორციელდა კიდეც, რითიც თბილისელები ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ. ამ იდეამ ბიზნესმენებიც დააინტერესა. როგორც ირაკლი როსტომაშვილმა განაცხადა, ხეივანში ღია კაფეებს ჩავდგამთ და მტკვარზე კატერებს ავამოძრავებთო. ბიზნესმენებმა არქიტექტურის დეპარტამეტს წინადადებებითაც კი მიმართეს, მაგრამ, ორი თვეა, დასვენების მსურველებიცა და ბიზნესმენებიც შეპირებულ ბულვარს ამაოდ ელიან. საკრებულომ ბულვარის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება კარგა ხანია მიიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. **"საკრებულომ საზაფხულო ბულვარის პროექტი განიხილა და მაშინვე მოიწონა, მაგრამ პრეზიდენტი ამ იდეას სასტიკად ეწინააღმდეგება. 26 მაისს ხეივანი ერთი დღით რომ გადავკეტეთ, კანცელარიაში ერთი ამბავი ატყდა"**, - აცხადებდა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი არველაძე.

კანცელარიაში ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებდნენ, მხოლოდ იმას აცხადებდნენ, საკრებულოს ჩვენთან არანაირი მოთხოვნა არ გამოუგზავნიაო. დაახლოებით ერთი თვის წინათ, საკრებულოს თავმჯდომარემ კანცელარიას წერილობით მიმართა და აღნიშნული გადაწყვეტილების განსახორციელებლად სახელმწიფო დაცვის სამსახურის ნებართვის გაცემა მოსთხოვა. **"რადგან მტკვრის მარჯვენა სანაპირო პრეზიდენტის ტრასაა, აქ ბულვარის გახსნას სახელმწიფო დაცვის სამსახურის ნებართვა დასჭირდა. კანცელარიაში ამ საკითხს უკვე განიხილავენ და ვიმედოვნებთ, რომ დადებითად გადაწყვეტენ. კანცელარიას საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნის შეუსრულებლობის არანაირი საფუძველი არ გააჩნია. საზაფხულო ბულვარის პროექტი მოწონებულია და საკრებულოს გადაწყვეტილებაც არსებობს"**, - აცხადებს არველაძე. ქალაქის მთავარი არქიტექტორიც ვარაუდობს, რომ ბულვარის საკითხი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყდება. მერიის ხელმძღვანელობას მისთვის აღნიშნული ადგილის დეტალური დაგეგმარების პროექტის შესახებ წერილის მომზადება დაუვალებია.

"ტრადიციონალისტები" მთელი მთავრობის გადადგომას ემხრობიან

ლელა მჭედლიძე

"ტრადიციონალისტთა" ლიდერმა აკაკი ასათიანმა გუშინ თავად აღიარა, რომ **"19 ტალეირანიც რომ გვყავდეს ხელისუფლებაში ან ამდენივე ფუშე, მაინც მოაწერს ხელს მთელი მთვრობის გადადგომას."** ამდენად, იმის გამო, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში კოორდინირების ნაკლებობას ამჩნევს, ასათიანი არა მხოლოდ "ახლების" და "დემოკრატების" მიერ მიზანში ამოღებულ დავით მირცხულავას იმეტებს საიმპიჩმენტოდ. ამასთან ასათიანი კვლავაც მინისტრთა კაბინეტის იდეის ლობირებას შეეცდება.

აკაკი ასათიანი: "მთავრობა ფულზე საკუთარი ხალხის მომავლის გაყიდვის ხარჯზე "ჩალიჩობს".

"ტრადიციონალისტები" მომავალ კვირაში კვლავაც ეცდებიან საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში შეტანას. მანამდე ფრაქცია იმ დეფიციტური ხმების შეგროვებით დაკავდება, რომელიც მათ კანონპროექტს პირველი მოსმენით გატანისას დააკლდა. ასათიანი თავის ამგვარ გარჯას არა პოლიტიკურ ახირებად, არამედ შთამომავლობისთვის ზრუნვად აფასებს: **"ახლა საჭიროა სამართლიანი არჩევნების ჩატარება - ისეთის, რომლის შედეგიც საკამათო არ იქნება. ამის შემდეგ კი მინისტრთა კაბინეტი ხალხისათვის რალური ცვლილებების შანსი იქნება."**

ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრებმა ცესკო-ს ფორმირების ორივე ვარიანტს დაუჭირეს მხარი (როგორც "მრეწველების", ისე ინტერფრაქციულის). აკაკი ასათიანის განცხადებით, **"ბალანსი "ბეიკერის ვარიანტში" კინაღამ დაირღვა, როცა ოპოზიციის ნაწილი ავტონომიებისათვის ქვოტების გამოყოფას დაეთანხმა."** თუმცა, ახლა, ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებული და პირველი მოსმენით მიღებული საარჩევნო კანონის ვარიანტი მისთვის მისაღებია. მაშინ, როცა ხალხის საკეთილდღეოდ ასათიანი მინისტრთა კაბინეტისათვის იბრძვის, მისი შეფასებით ხელისუფლება, **"გაზპრომის ქვეყანაში შემოყვანით, რუსეთის გულის მოგებას ცდილობს და ფულზე საკუთარი ხალხის მომავლის გაყიდვის ხარჯზე "ჩალიჩობს"**. მართალია, ასათიანი, მისივე სიტყვებით, "აჭარული სამზარეულოს მზარეული" აღარ არის, მაგრამ ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, აცხადებს, რომ აბაშიძე საღად მოაზროვნე კაცია და არჩევნების ბოიკოტირებას მხარს არ დაუჭერს.

სიტყვის თავისუფლების გადასარჩენად

პირველი გვერდიდან

"საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი "სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც თითქოსდა ახლებურად აყალიბებს ცილისწამების ცნებას და შემოაქვს შეურაცხყოფის დეფინიცია, რეალურად დამძიმებული ფორმით აღადგენს საბჭოთა დროის ნორმებს.

ხელისუფლების ამ ქმედებას ვაფასებთ, როგორც სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე იერიშის მიტანის მცდელობას. მაშინ, როდესაც ქართული მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილის და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი "სიტყვის და პრესის თავისუფლების შესახებ" ვერაფრით ვერ მოხვდა პარლამენტის დღის წესრიგში, ხელისუფლების მხარდამჭერმა სადეპუტატო ჯგუფებმა შეძლეს რეპრესიული კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტში გააქტიურდნენ რევანშისტული ძალები, რომლებიც უკვე რეალურ საფრთხეს უქმნიან ქართულ მედიას და, შესაბამისად, დემოკრატიულ პროცესებს.

ჩვენი კატეგორიული პოზიციაა, რომ ამ კანონპროექტში წარმოდგენილი ცნებები და განსაზღვრებები პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ცივილიზებული სამყაროს და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი ხალხის წინაშე აიღო.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ადგენს იმ ზღვარს, რომელზეც უნდა გაიაროს სამოქალაქო საზოგადოების და ხელისუფლების, იქნება ეს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი, სამომავლო ურთიერთობებმა. ჩვენ მოველით, რომ პარლამენტის სპიკერატი, საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები და პარლამენტის თავმჯდომარე მეტი გულისყურით შეისწავლის ამ საკითხს და კანონპროექტის შემდგომ მოსმენებამდე გაიაზრებს შესაძლო შედეგებს. მით უმეტეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დასკვნა, ამომწურავი არგუმენტაციით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტმა უკვე წარმოადგინა.

ამასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დავსვათ საკითხი "სიტყვის და პრესის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტის მეორე და მესამე მოსმენებით მიღების თაობაზე (კანონპროექტი ითვალისიწინებს ცილისწამების სრულ დეკრიმინიზაციას, ხოლო სამოქალაქო სამართალის სიტყვისა და პრესის თავისუფლების გარანტიების განმტკიცებას). შეგახსენებთ, იმ ვალდებულებას, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ და ფრაქციების უმრავლესობამ, პარლამენტის სახელით, ხოლო სახელმწიფო მინისტრმა, აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით, 2002 წლის 15 სექტემბრის დეკლარაციაზე ხელმოწერით საკუთარ თავზე აიღეთ და რაც საქართველოში სიტყვის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიების შექმნას გულისხმობდა. მით უფრო, რომ ამავე დეკლარაციით ნაკისრი ვალდებულება, თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის მიმართულებით, ქართულმა მედიამ, თავის მხრივ, შეასრულა და 2003 წლის 14 მაისს ხელი მოეწერა "მედიის პროფესიულ სტანდარტს".

საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვას ხელს აწერენ ქართული მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ხელმოწერები გრძელდება.

24 საათი

მოკლედ

იუსტიციის სამინისტროსთან სოლიდარობის აქცია გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს შენობასთან გრძელდება მოშიმშილე „ნაციონალ" დეპუტატთა მხარდამჭერი აქცია. მისი მონაწილეები, რომელთა რიცხვი 20-მდე კაცს აღწევს, არ აპირებენ დაშლას, ვიდრე არ დაკმაყოფილდება მოშიმშილეთა მოთხოვნები.

სოლიდარობის აქციის მონაწილენი ყოველ 12 საათში ენაცვლებიან ერთმანეთს. მოშიმშილე დეპუტატების მხარდამჭერები აცხადებენ, რომ თითქმის გარდაუვალი ხდება მასობრივი საპროტესტო აქციები. „ეს ხალხი სიკვდილზე მიდის, რეაგირება კი არ ჩანს, ეს დაუშვებელია," - ამბობენ ისინი. ***მედია-ნიუსი***

აფხაზეთში გაერო-ს მისიას მანდატს ექვსი თვით გაუგრძელებენ

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია მისცა, საქართველოში კიდევ ექვსი თვით - 2004 წლის 31 იანვრამდე გაუგრძელოს მანდატი გაერო-ს მისიას საქართველოში.

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრაში ჯერ არ არის მიღწეული რაიმე შესამჩნევი პროგრესი პოლიტიკურ და უშიშროების საკითხებზე, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის მომავალი სტატუსის განსაზღვრის ჩათვლით," - ნათქვამია გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც უშიშროების საბჭოს წევრებს წარუდგინეს. **მედია-ნიუსი**

შვეიცარიელები აფხაზეთში ეკონომიკური პროექტების განხორციელებას აპირებენ

სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ოტირბამ თანამშრომლობისა და განვითარების შვეიცარიის ბიუროს წარმომადგენლები - კატარინა ხაბერლი, მარკუს ბეიხლერი და მარკო ფერარი მიიღო. "აფსნი-პრესის" ინფორმაციით, შვეიცარიელები აფხაზეთში, კერძოდ ოჩამჩირის, ტყვარჩელის და გალის რაიონებში ეკონომიკური პროექტების განხორციელების შესაძლებლობით დაინტერესდნენ. **მედია-ნიუსი**

მოლდოვას ეჭვი ეპარება სუუამ-ის ეფექტურობაში

მოლდოვას ეჭვი ეპარება სუუამის ეფექტურობაში. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე განაცხადა მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლაი დუდეუმ. მისი თქმით, "საკითხი ქვეყნის ამ ორგანიზაციიდან გასვლას არ ეხება, არამედ მის არაეფექტურობასა და ზოგიერთ მის პროექტში მოლდოვას არჩართვას, მაგალითად ნავთობის მიწოდების სფეროში". **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ სამდღიანი სამუშაო ვიზიტით თურქეთში გაემგზავრა, სადაც ტაო-კლარჯეთის უძველეს ისტორიულ ძეგლებს და მონასტრებს მოინახულებს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ტაო-კლარჯეთში საპარლამენტო დელეგაციასთან და საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდება. ნინო ბურჯანაძე თურქეთში ავტომანქანით გაემგზავრება და თბილისში 28 ივლისს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "კავკასიის კაზაკთა კავშირი" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, სექტემბერში, აფხაზეთის გავლით, როსტოვსა და მოსკოვში მარათონის ორგანიზებას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის ახალი თავმჯდომარე ბადრი ხატიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტი ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის მოთხოვნას, ცხინვალის და ჯავის საარჩევნო ოლქების აღდგენასთან დაკავშირებით, დადებითად გადაწყვეტს.

ამის შესახებ ბადრი ხატიძემ გუშინ კომისიის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, საპარლამენტო ფრაქციათა უმრავლესობა მხარს დაუჭერს იმას, რომ ცხინვალისა და ჯავის საარჩევნო ოლქებმა ფუნქციონირება აღადგინონ, რათა ცხინვალიდან დევნილმა მოსახლეობამ საკუთარი წარმომადგენელი აირჩიოს პარლამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ბათუმი. „მოქალაქეთა კავშირის" აჭარის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე აზიზ ახვლედიანი „ყოვლად უგუნურს" უწოდებს „აღორძინების" ლიდერების განცხადებებს აჭარაში საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ბოიკოტის შესახებ. "მოქალაქეთა" რეგიონულ ლიდერს იმედი აქვს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ასეთი ნაბიჯისგან თავს შეიკავებს; წინააღმდეგ შემთხვევაში „მოქალაქეთა კავშირის" სამხარეო ორგანიზაცია აჭარის ხელისუფლებას სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს. **მედია-ნიუსი.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

"...მოსკვა ნე კავკაზ!"

პირველი გვერდიდან

წითელი მოედნის მონახულების სიამოვნება წაართვეს. ასე უპასუხა კრემლის ადმინისტრაციამ საერთაშორისო ტერორიზმის მორიგ გამოწვევას. სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმის მოძებნა მოსკოვის ცენტრში შეუძლებელი აღმოჩნდა. საერთაშორისო ტერორისტების გამოწვევაზე სიფრთხილის ასეთი ზომა მოსახლეობისათვის და მოსკოვის სტუმრებისათვის იმასაც ნიშნავს, რომ წითელი მოედნის იქით მეწყერსაც წაუღია ყველაფერი. მიაქვს კიდეც.

მოსკოვში ახალგაზრდა ქალების მკვლელობის რამდენიმე ათეული შემთხვევა დაფიქსირდა. მოსკოვის მეტროებში დიდი ენთუზიაზმით აჩერებენ "შავებს" - კავკასიური გარეგნობის მოქალაქეებს.

მოსკოვის მეტროებში კი ახალი ჰიტია: ელექტრომატარებლების ვაგონებში, ვესტიბიულების კედლებზე "ნაკლეიკები" გაჩნდა. მომიტევოს მკითხველმა და შემდეგი შინაარსისა: "ალაჰ პედერასტ, მოსკვა ნე კავკაზ!"

ეს ხდება იმ ქალაქში, რომლის მოსახლეობის ორმოც პროცენტს მუსულმანები შეადგენენ, ხოლო რუსეთის პრეზიდენტი ხშირად ამაყობს იმით, რომ მოსკოვი მრავალკონფესიური ქალაქია. პრეზიდენტი და შსს მინისტრი პასუხს არ აგებენ ადგილობრივი ექსტრემისტების გამოხდომებზე. არც "ნაკლეიკებს" ხევენ. რაც მთავარია, წითელი მოედანი საიმედოდ "ჩარაზეს".

გატაცებულს გაუმართლა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ხუთი დღის წინ ქუთაისში, ბაგრატიონის ქუჩიდან გატაცებული დათო გოგაძე გუშინ დილით თავად დაბრუნდა შინ. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამ ხნის მანძილზე გამტაცებლებს იგი ტყეში ხეზე ჰყავდათ მიბმული. მასთან პერიოდულად ხუთი ნიღბიანი ბოროტმოქმედი მიდიოდა და სცემდა. გოგაძის თქმით, გამტაცებლები ემუქრებოდნენ, ეს მანამ გაგრძელდებოდა, სანამ გამოსასყიდს არ მიიღებდნენ. თავდაპირველად ისინი 300 000 დოლარს ითხოვდნენ, შემდეგ კი "სტავკა" 100 000-ზე ჩამოვიდა. გოგაძის განმარტებით, გუშინ დილით მას გამტაცებლებმა უთხრეს,- გაგიმართლაო, - თოკები მოხსნეს და ქუთაისის ერთ-ერთ უბანში, "ავანგარდში" მიატოვეს. დაზარალებული გამოსასყიდის გადახდას უარყოფს. იგივეს ადასტურებს პოლიციაც, თუმცა სამართალდამცველები იმასაც ამატებენ, რომ გატაცებულის გამოხსნის პროცესში არც შავი სამყარო ჩარეულა. ამიტომაც, გაურკვეველი რჩება, რატომ გაათავისუფლეს გოგაძე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სამართალდამცავები რამდენიმე დღეში გვპირდებიან.

დათო გოგაძე ეკოპოლიციაში მუშაობს, მამამისი კი ტყავის ბიზნესით არის დაკავებული. პოლიციაში სწორედ ამ ფაქტორს ასახელებენ გატაცების მიზეზად. გატაცების დღეს ოთხმა შეიარაღებულმა, ნიღბიანმა პირმა გოგაძეს ავტომობილის გაჩერება აიძულა, შემდეგ იგი ავტომობილიდან გადმოიყვანეს და ქუჩაში სცემეს, მოგვიანებით კი დაუდგენელი მიმართულებით გაიტაცეს. იმერეთის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, რომ გამტაცებლების შესახებ ინფორმაციას ფლობენ და რამდენიმე დღეში შესაბამის განცხადებებსაც გააკეთებენ.

„გაზპრომმა", შესაძლოა, მირცხულავა შეიწიროს

პირველი გვერდიდან

გეგმების შესახებ; მხარეებმა შეთანხმება უნდა გააფორმონ საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესახებ; ბუნებრივი აირის ღირებულება და მოცულობა ყოველწლიურად ცალკე შეთანხების საფუძველზე იქნება განსაზღვრული," - ეს ქართული მხარის ვალდებულებების მხოლოდ ნაწილია.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით ქართულმა მხარემ, ფაქტობრივად, ქვეყნის ინტერესები რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. "ახლების" ლიდერი, საკუთარი ფარქციის სახელით, ენერგეტიკის მინისტრისაგან ითხოვს ინფორმაციას, თუ ვისი დავალებით მოაწერა მან ხელი ხელშეკრულებას. გამყრელიძეს სავსებით რეალურად მიაჩნია პარლამენტში მირცხულავას იმპიჩმენტის საკითხის დაყენება.

"ახლები" მინისტრს ვადას ორშაბათამდე აძლევენ. უკვე სამშაბათს ისინი ამ საკითხის დაყენებას პლენარულ სხდომაზე აპირებენ.

დაბოლოს: უნდა ითქვას, რომ "ნეფთე კომპასის" ინფორმაციით, **"რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ეს შეთანხმება, უდავოდ, გამოიწვევს აშშ-ს უკმაყოფილებას. აშშ ორ ქვეყანას შორის ამ სფეროში პარტნიორობის წინააღმდეგია და ამ თანამშრომლობას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თავისი სტრატეგიული ინტერესებისათვის საფრთხედ განიხილავს".**

წინ, წარსულისაკენ

ამჟამად საქართველო 1992 წლის დონეს უტოლდება

გიორგი გახელაძე

საქართველოს სტატისტიკოსებმა გუშინ პროფესიული დღე ნახევარწლიანი საჯარო ანგარიშით აღნიშნეს. მაგრამ სანუგეშო არაფერი უთქვამთ და არცა "გვჭირს". მაგალითად, კვლავ დადასტურდა, რომ საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ იმატა, ცხოვრების დონე კი დაქვეითდა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყანაში 2003 წლის 1 ივლისისთვის რეგისტრირებულმა სამსახურის მაძიებელმა 47 ათასი კაცი შეადგინა. ამათგან 21,2 ათასი ანუ 45 პროცენტი ქალია. წინა თვესთან შედარებით, მონაცემები გაზრდილია 2,0 პროცენტით, მიმდინარე წლის იანვართან შედარებით კი - 20,4 პროცენტით. რაც ყველაზე სავალალოა, რეგისტრირებულ უმუშევართა 51,7 პროცენტი 31-50 წლისაა.

თემურ ბერიძე უმუშევრობისა და რესტორნებში დახარჯული ფულის ზრდის შესახებ საუბრობს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, თეიმურაზ ბერიძის ინფორმაციით, 2003 წლის იანვარ-ივნისის საერთო მაჩვენებლით საქართველო 1992 წლის დონეს უტოლდება.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ღირებულებამ 3943,0 მილიონი ლარი შეადგინა. 2003 წლის პირველ ნახევარში ასეთი სწრაფი ზრდა მნიშვნელოვანწილად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დაწყებამ განაპირობა. წინასწარი ინფორმაციით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არაფინანსურ აქტივებში 143,4 მილიონი ლარია ინვესტირებული.

გაგაოცებს ადამიანს, რა ცოტა სჭირდება ქართველობას, რომ უდარდელად მიეცეს განცხრომას და საკუთარი ოჯახისთვის მოსახმარი ფული სწორი ნაწლავის გავლით მოიცილოს. 2003 წლის პირველ ნახევარში რესტორნებისა და სასტუმროების მომსახურების მოცულობამ 31,6 მილიონი ლარი შეადგინა; აქედან რესტორნების მომსახურების მოცულობა 15,6 მილიონი ლარია, რაც 14,9 პროცენტით მეტია 2002 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ზაზა სიორიძის ძმას 247 ათასი ლარის მითვისებაში ადანაშაულებენ

სოფო კვინტრაძე

საქართველოს ყრუთა კავშირი, რომელსაც 12 ათასამდე წევრი ჰყავს, პარლამენტარ ზაზა სიორიძის ძმას, მერაბ სიორიძეს 247 ათასი ლარის მითვისებაში ადანაშაულებს და მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კავშირის წევრები პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავენ და სასამართლოს შენობაში შიმშილობას დაიწყებენ. როგორც ყრუთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მეგრელიშვილი აცხადებს, კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ მერაბ სიორიძემ, ამ თანამდებობაზე არჩევიდან რამდენიმე თვეში, კავშირის კუთვნილი დავალიანება - 247 ათასი ლარი ამოიღო, მაგრამ თანხა პრეზიდიუმს დაუმალა და მთლიანად მიითვისა.

კავშირის წევრები მიიჩნევენ, რომ დავალიანების ამოღებაში მერაბ სიორიძეს პარლამენტარი ძმა დაეხმარა.

მურთაზ მეგრელიშვილი აცხადებს, რომ სამედიცინო ექსპერტიზა გაყალბებულია.

2003 წლის 31 მაისს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ მერაბ სიორიძეს ყრუთა კავშირის კუთვნილი 247 ათასი ლარის მითვისებისათვის, სისხლის სამართლის 182-ე მუხლის საფუძველზე, აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. თუმცა, სასამართლომდე რამდენიმე თვით ადრე მერაბ სიორიძე, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად კი ადვოკატები მის გათავისუფლებას ითხოვენ, რადგან სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სიორიძის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ყრუთა კავშირის წევრები აცხადებენ, რომ სიორიძის სამედიცინო ექსპერტიზა გაყალბებულია. **"სამართალდამცავებმა გამოგონილი დიაგნოზით შეძლეს მერაბ სიორიძის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა და ახლა მის გათავისუფლებას ცდილობენ. შემდეგ, ალბათ, გაამართლებენ კიდეც. მერაბ სიორიძისთვის შეუძლებელი არაფერია, რასაც ხელს უწყობს მისი ყოვლისშემძლე ძმა – ზაზა სიორიძე,"** – აცხადებენ ყრუთა კავშირის წევრები.

რუსული ენერგოექსპანსია

პირველი გვერდიდან

მას აქვს სერიოზული ეჭვი, რომ რუსულ მხარესთან ზემოაღნიშნულ გარიგებას საფუძვლად უდევს სათბობენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავასა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელის ალეკო გოცირიძის კორუფციული ინტერესები და, აქედან გამომდინარე, მოუწოდებს პრეზიდენტს, რომ ეს პიროვნებები, როგორც მინიმუმი, ყველანაირ მოლაპარაკებას ჩამოაცილოს.

"მირცხულავას იმპიჩმენტს სიხარულით დავუჭერ მხარს. ამ ეტაპზე მისი საქმიანობა არის მავნებლობა. მინისტრი მხოლოდ იმას გაიძახის, არ ვიცი, რა ხდებაო. თუ მე, ოპოზიციის წარმომადგენელმა, ყველაფერი დეტალებში ვიცი, როგორ შეიძლება, ენერგეტიკის მინისტრს არ ჰქონდეს ინფორმაცია. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს, მისი კორუფციული ინტერესების შესახებ ვისაუბრო," - აცხადებს "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად ზურაბ ჟვანიას მიაჩნია "ეი-ი-ეს თელასზე" ქართული მხარის სრული კონტროლის დამყარება, რისთვისაც საჭიროა საწყისი თანხა 25 მილიონი დოლარის ოდენობით. "გაერთიანებული დემოკრატების" თავკაცი ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკებები "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელობასთან საკონტროლო პაკეტის დაბრუნების თაობაზე, პარალელურად შედგეს მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, რომელთა კრედიტებიც, თავის დროზე, ჰქონდა აღებული "ეი-ი-ეს"-ს და მოხდეს ქართულ მხარეზე მათი გადმოფორმება.

"ეს თანხა (25 მილიონი დოლარი) არის სასაცილოდ მცირე, როდესაც საუბარია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებზე. მითუმეტეს, საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, ქართველი ჩინოვნიკების ჯიბეებში ყოველწლიურად 200 მილიონამდე დოლარი მიდის. საქართველოს მთავრობამ დღეიდანვე უნდა დაიწყოს 25 მილიონის მოძიება ნებისმიერი გზით: მიმართოს და შეეხვეწოს ბიზნესმენებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარ სახელმწიფოებს, რათა იშოვოს ფული და "ეი-ი-ეს თელასთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. თანაც, ამ თანხის ოდენობა, მოლაპარაკებების შედეგად, შეიძლება, კიდევ უფრო შემცირდეს და მისი გადახდა რამდენიმე წელიწადში გაიწეროს. პრაქტიკულად, ეს იქნება თანხა, რომელიც სოფელში კლუბის აშენებას სჭირდება," - ხელისა და ტვინის განძრევისკენ მოუწოდებს მთავრობას "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი, რომელიც ამ საკითხის დაყენებას პარლამენტის უახლოეს სხდომაზე აპირებს.

ხელისუფლება საქართველოს რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში აბრუნებს

პირველი გვერდიდან

შეთანხმება ითვალისწინებს "გაზპრომის" მიერ საქართველოში გაზის მოწოდებასა და მომხმარებლამდე მიტანას, საქართველოს გაზსადენების სისტემის რეკონსტრუქცია-გაფართოებას, ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის გაზის მიწოდებას, გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთობლივ რეალიზაციასა და საქართველოში გაზის სატრანზიტო პროექტების ერთობლივ განხორციელებას. სავარაუდოა, რომ რუსული გიგანტი გაზსაცავების მშენებლობაში მონაწილეობის სურვილსაც გამოთქვამს, მით უმეტეს, რომ ეს განზრახვა ალექსეი მილერმა თბილისში ვიზიტისას უკვე გამოთქვა.

მიუხედავად იმისა, რომ დავით მირცხულავა კატეგორიულად უარყოფს ერთობლივი საწარმოს შექმნის გეგმებს, "გაზპრომი" ოფიციალურად იუწყება საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების შესახებ.

რაც შეეხება "გაზპრომის" სატრანზიტო პროექტებს, შეთანხმება ჯერჯერობით მხოლოდ სომხეთის მიმართულების რეაბილიტაციას მოიცავს, თუმცა "გაზპრომთან" ადრე გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, რუსული გაზის გიგანტი, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან ერთად, ახალი გაზსადენის მშენებლობითაც ინტერესდება. ახალ ხელშეკრულებაში ამ გეგმების შესახებ ღიად არაფერია ნათქვამი. დოკუმენტში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ "გაზპრომი" საქართველოს გაზის სექტორში "ახალი პროექტების ინვესტირებას" გეგმავს.

ის კონკრეტული გეგმები, რომელთა რეალიზებასაც ხელისუფლება "გაზპრომთან" ერთად აპირებს, 2003 წლის მესამე კვარტალში, ანუ არჩევნებამდე უნდა გაცხადდეს. ქართული მხარე იღებს ვალდებულებას, ამ გეგმებს შორის წარმოადგინოს გაზის სექტორის ქართული აქტივების "გაზპრომისათვის" გადაცემის მექანიზმებიც. ყოველ შემთხვევაში, ასეა მითითებული მილერ-მირცხულავას მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ამ ხელშეკრულების დეტალების გახმაურებამ ქართულ პოლიტელიტაში მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია. პოლიტიკოსები სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხელმძღვანელობას რუსეთთან ეკონომიკურად და პოლიტიკურად წაგებიან გარიგებაში ადანაშაულებენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ "გაზპრომის" გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით, ექსპერტთა შეფასებით, სცდება კომერციულ ინტერესს. ანუ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **"ეს ის შემთხვევა არ არის, როცა კომერციული სტრუქტურა მოგების მიზნით იპყრობს ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარს."** პოლიტიკოსები შიშობენ, რომ "გაზპრომის" მიერ საქართველოს გაზის სექტორზე სრული გავლენის მოპოვების შემდეგ, რუსეთს საქართველოზე ზეწოლის მძლავრი ბერკეტი ჩაუვარდება ხელთ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი, ეკონომიკის ექსპერტი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ **"გაზის სექტორი ყველაზე მძლავრი ბერკეტია ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე ზეწოლისათვის, რადგან ამ სექტორზეა "ჩამოკიდებული" ქვეყნის მთელი ეკონომიკა, ელექტროენერგეტიკიდან დაწყებული, საოჯახო მეურნეობების ჩათვლით."**

ახლად გაფორმებულ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ **"მოწოდებული აირის მოცულობა და ფასი, მოწოდების პირობები, ანგარიშსწორებების წესი და ტრანზიტის ტარიფები განისაზღვრება "გაზპრომსა" და მის ქართველ პარტნიორს - გაზის საერთაშორისო კორპორაციას შორის გაფორმებულ ყოველწლიურ კონტრაქტებში."** ეს კი ნიშნავს, რომ "გაზპრომის" მიერ მოწოდებული გაზის ვითომ დაბალი ღირებულება, რამაც ასე "მოხიბლა" საქართველოს ოფიციოზი, შესაძლოა, შეიცვალოს. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტ პუტინის მიერ ზურგგამაგრებული "გაზპრომის" სატარიფო პოლიტიკა ყოველთვის არ ექვემდებარება კომერციულ ლოგიკას. ამის გამო, მასთან ურთიერთობას ევროპის მძლავრი სახელმწიფოებიც კი უფრთხიან.

"გაზპრომისათვის" დემპინგური პოლიტიკის წარმოება ნაცადი ხერხია. ამ გზით ის თავის დროზე თურქეთის ბაზარზე "ბლუსტრიმის" პროექტით შევიდა და ახლა თურქეთს საკმაოდ უჭირს მასთან ურთიერთობის დარეგულირება," - მიიჩნევს ექსპერტი ლიანა ჯერვალიძე. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოსთვის გაზის ფასის დაგდებით "გაზპრომმა" ბაზარზე ფეხი მყარად მოიკიდოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს თავისი პირობების კარნახი.

დაბოლოს: უმთავრესი მიზეზი იმისა, რის გამოც ქართულ ენერგობაზარზე "გაზპრომის" ოდიოზური აჩრდილის გამოჩენა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს აშფოთებს, ის არის, რომ შაჰდენიზის "საუკუნის პროექტის" განხორციელების შემთხვევაში, ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის საშუალებით, პირველ ეტაპზე თურქეთში წლიურად 7 მილიარდ 300 ათასი კუბური მეტრი გაზი გადაიზიდება. შაჰდენიზის პროექტის ერთ-ერთი ინვესტორი კომპანიის - "სტატოილის" გათვლებით, თურქეთის ბაზარი 2005-2010 წლებისთვის წლიურად 18 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აითვისებს. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სრული რეაბილიტაციის შემთხვევაში კი, "გაზპრომი" თურქეთში ამ მოცულობის მთლიანად შეტანას შეძლებს. შესაბამისად, თურქეთის ბაზარი გაზით იმდენად გაჯერდება, რომ დასავლეთისთვის რეზონანსული შაჰდენიზის პროექტი ეკონომიკურ მიმზიდველობას დაკარგავს, ხოლო დასავლეთის ინტერესების სფეროში მოქცეული კავკასიის უმნიშვნელოვანეს სექტორში – ენერგეტიკაში მყარად დამკვიდრებული რუსეთი რეგიონში საკუთარი პირობების მკაცრ კარნახს დაიწყებს.

პარალელისთვის უთუოდ საყურადღებოა, თუ როგორ იბრძვის "გაზპრომი" ბელორუსის მაგისტრალური გაზსადენების სისტემის – "ბელტრანსგაზის" ხელში ჩასაგდებად, რითიც ევროპისაკენ გაიკვლევს გზას. ბელორუსია ჯერჯერობით პოზიციებს არ თმობს. ქვეყნის ბაზარზე "გაზპრომის" მზარდი გავლენის შესასუსტებლად მან გაზის მოწოდებაზე ხელშეკრულება ალტერნატიულ კომპანიასთან – ასევე რუსულ "THK"-სთან გააფორმა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "გაზპრომთან" ჭიდილში ბელორუსის შანსები უკვე ნულის ტოლია, რადგან ქვეყანამ ენერგომატარებლების მიმწოდებელთა დივერსიფიკაცია და რუსეთის ეკონომიკური გავლენის სფეროდან გათავისუფლება ვერ მოახერხა.

ღია წერილი

უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

პირველი გვერდიდან

განა არ ლახავს უდიდესი ისტორიული და სულიერი გამოცდილების მქონე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსებას ის ფაქტი, რომ თქვენი მდუმარე სანქციით მის დამცველად და მესიტყვედ თავს აცხადებს პოლიტიკოსი, რომელსაც არა თუ არავითარი თეოლოგიური, სასულიერო განათლება არ გააჩნია, არამედ ინტრიგის, პროვოკაციის, შანტაჟის განსხეულებად არის მიჩნეული?! რომელიც ეკლესიის სახელით ცილს სწამებს და შეურაცხყოფს ცოცხალ და გარდაცვლილ პიროვნებათა ღირსებას, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ორგანიზაციებსა და მათ თანამშრომლებს, ოპონენტთა წინაპრებსა და მშობლებს; მართლმადიდებლობის სახელით საქართველოს მტრებად, "მასონურ" და "სექტანტურ" ქვეყნებად აცხადებს დასავლეთის მოწინავე სახელმწიფოებს, რომელთა თანადგომა წყალივით და ჰაერივით სჭირდება საქართველოს ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს?! საჯაროდ მოითხოვს თქვენგან, განკვეთოთ სამღვდელოთა დასიდან ეკლესიის წინაშე მრავალი დამსახურების მქონე დეკანოზი და ამავე დროს თანადგომას უცხადებს თქვენს მიერ 1995 წელს განკვეთილ, სისხლის სამართლის დამნაშავეს ვასილ მკალავიშვილს?! თქვენი დუმილი ამ შემთხვევაში ხომ კაპიტულაციის გამოცხადებაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან?

უწმინდესო, რატომ დუმს თავად ეკლესია, რატომ დუმხართ თქვენ, როდესაც საზოგადოება ზარებს არისხებს ეკლესიის წიაღში კრიმინალური ელემენტების (მათ შორის სამჯერ, ოთხჯერ ნასამართლევი უმაღლესი რანგის სასულიერო პირთა) მომრავლების გამო?!

უწმინდესო, რად იგვიანებს თქვენი ხმა, როცა საქართველო ლამის წალეკოს რელიგიურმა სიბნელემ და ქსენოფობიამ, ავადმყოფურმა მისტიციზმმა, რასიზმმა, ნაციზმმა? როდესაც მართლმადიდებლობის სახელით რელიგიურ უმცირესობებს არბევენ და სცემენ, როცა მათ უწვავენ სამლოცველო სახლებს და უნადგურებენ ბიბლიის გამოცემებს? როცა გულწრფელი აზრი ველარ გამოგვითქვამს იმის შიშით, რომ საპატრიარქოს თანამშრომლებმა და მღვდელმსახურებმა თუ მათგან წაქეზებულმა პოლიტიკოსებმა სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატეებად არ გამოგვაცხადონ!

განა თქვენ გესწავლებათ, რომ ეს ყოველივე შუასაუკუნეებრივი ინკვიზიციისა და ფაშიზმის ნიშნებს ატარებს?

ბოლოს და ბოლოს რა ემართება დედა ეკლესიას? ვის ქსელში გაება იგი?

ნამდვილად ვიცით: ჩვენი წუხილი თქვენი წუხილიცაა, და გვჯერა, რომ ჩვენზე მეტად ხედავთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას.

პატივისცემით და იმედით:
გურამ თევზაძე *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი*
მიხეილ ბეჟანიშვილი *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი*
სოზარ სუბელიანი *- თავისუფლების ინსტიტუტი*
ემზარ ჯგერენაია *- საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებისა და ფილოსოფიის უფროსი მასწავლებელი, სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი*
ლელა გაფრინდაშვილი *- ფილოსოფოსი*
დავით ზურაბიშვილი *- თავისუფლების ინსტიტუტი*
ნოდარ ლომოური *- ისტორიის მეციერებათა დოქტორი*
ავთანდილ ჯოხაძე *- მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი*
ლევან ბრეგაძე *- კრიტიკოსი*
ვახუშტი კოტეტიშვილი *- ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი*
ლევან ბერძენიშვილი *- საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი*
შოთა იათაშვილი *- მწერალი*
გოგი გვახარია *- კინომცოდნე*
მიხეილ მახარაძე *- ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი*
მიხეილ ქვლივიძე *- მწერალი*
გიორგი ხუციშვილი *- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი*
გაგა ნიჟარაძე *- ფსიქოლოგი*
ნოდარ ლადარია *- აღმოსავლურ-ქრისტიანულ მეცნიერებათა დოქტორი*
ელდარ შენგელაია *- კინორეჟისორი*
მიხეილ მირზიაშვილი *- სტუდია "რე"*
მამუკა ყუფარაძე *- სტუდია "რე"*
მიხეილ ბეროშვილი *- საქ. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლის" დირექტორის მოადგილე*
გიორგი ლობჟანიძე *- მწერალი, თეოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე*
გიორგი ჯიბუტი *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი*
თემურ მთიბელაშვილი *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი*
ნინო თონაშვილი *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე*
ზეინაბ ნოდია *- მწერალი; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის თანამშრომელი*
გიორგი კახიძე *- მწერალი*
ვახტანგ უშვერიძე *- ინჟინერი*
ნოდარ ანდღულაძე *- საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი,*
მზექალა შანიძე *- პროფესორი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი*
რევაზ ლოლიშვილი *- გეოგრაფი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი*
რუსუდან გვარამია *- საქ. მეცნიერებათა აკადემის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*
ლ. სამყურაშვილი *- საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*
გურამ კუტალაძე *- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*
ირმა ტალახაძე *- ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი*
ნანა ალექსანდრია *-ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭადრაკში*
მზია ბაქრაძე *- ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დოცენტი, მთარგმნელი*
ლევან პაჭკორია *- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტოლოგი*
ლადო გოგიაშვილი *- ჟურნალისტი*
ეკა ჯანაშია *- ჟურნალისტი*
ლევან მეტრეველი *- ისტ. მეც. კანდიდატი, თსუ დოცენტი*

ქვეყანას ატესტაციაგავლილი პოლიციელები ჰყავს

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში უჩვეულო ვნებათაღელვა იყო, რადგან შსს-სა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე რეფორმის პირველი ეტაპი - ტესტირება დაიწყო. პირველი ატესტაციაგავლილი პოლიციელები შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის თანამშრომლები არიან. სამსახურის 18 "აბიტურიენტს" სათითაოდ უხდებოდა რვაკაციანი კომისიის წინაშე საკუთარი ცოდნის დემონსტრირება. ვინაიდან ატესტაციის პროგრამები სამინისტროს ყველა დანაყოფისთვის ინდივიდუალურად არის შერჩეული, ამიტომ იურიდიული სამსახურის თანამშრომლებს 15 კანონის, ორი კონვენციის, მინისტრის ორი ბრძანების, პრეზიდენტის ბრძანებულების და ყველა პოლიციელისთვის სავალდებულო კონსტიტუციის ცოდნა ევალებოდათ.

"ჩემი აზრით, ატესტაცია აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, რადგან ჩვენ ადამიანთა უფლებების დაცვა და, აქედან გამომდინარე, მათი ბედი გვაბარია. ვფიქრობ, უცოდინარი თანამშრომელი სამინისტროს არ სჭირდება. ატესტაცია არც ისე რთული იყო, მაგრამ გარკვეულ დაძაბულობას და პასუხისმგებლობას მაინც იწვევს," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ატესტაციიდან გამოსულმა ბესო ალავიძემ.

ატესტაციაგავლილთა შედეგები დღეს გახდება ცნობილი. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შოთა ასათიანმა, რომელიც კომისიის თავმჯდომარეც გახლავთ, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ატესტაციამ ნორმალურ ატმოსფეროში ჩაიარა. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წევრები კიდევ ერთხელ გადახედავენ თანამშრომელთა დახასიათებებს და პირად საქმეებს და საბოლოო სიტყვას სწორედ ამის შემდეგ იტყვიან. შეფასდება თუ არა რომელიმე ატესტანტი უარყოფითად, წინასწარ ძნელი სათქმელია. კანონმდებლობით, პოლიციის თანამშრომელს ატესტაციის გადავადების საშუალება აქვს. იმ შემთხვევაში კი, თუ იგი მეორედაც ვერ შეძლებს საკუთარი ცოდნის გამოვლენას, შესაძლებელია, მას პოლიციის მუნდირის დატოვება მოუწიოს.

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ შედეგებს, რომელიც დღეს გახდება ცნობილი. დღესვე ატესტაციის ახალი ეტაპი დაიწყება.

24 საათი

პოლიციელებს ხელს აფარებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია პროკურატურას და სასამართლოს დამნაშავე პოლიციელების მფარველობაში ადანაშაულებს. კერძოდ, საუბარია შარშან პოლიციელთა მიერ ორი ადამიანის ჩაცხრილვაზე, რის გამოც, ისანი-სამგორის პროკურატურის გამომძიებლები და ამავე რაიონის სასამართლო მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს.

"2002 წლის 30 მაისს თბილისის ისან-სამგორის რაიონულ პოლიციაში შევიდა შეტყობინება, რომ ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტიდან ორმა მძარცველმა 20 ლარი და 150 ლარის ღირებულების სიგარეტი გაიტაცა. საეჭვო მანქანას, რომელშიც, სავარაუდოდ, თავდამსხმელები - ზურაბ ფიდუაშვილი და კახა არაბული ისხდნენ, პოლიციის სამი მანქანა დაედევნა. ლილოს დასახლების ტერიტორიაზე პოლიციელებმა ორი ეჭვმიტანილის დასაკავებლად 11 ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს და ისინი მანქანაში ჩაცხრილეს. ეჭვმიტანილები თავს ერთი იარაღით იცავდნენ," - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში - „კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლი".

არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატთა თქმით, თბილისის ისან-სამგორის რაიონის პროკურატურამ, სადაც ამ ფაქტის გამოძიება მიმდინარეობდა, 11 იარაღიდან ხუთ ავტომატს შეგნებულად არ ჩაუტარა სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა, რათა არ დაფიქსირებულიყო გასროლების რაოდენობა და არ დადასტურებულიყო პოლიციელების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტების ფაქტი.

2002 წლის 26 აგვისტოს ისან-სამგორის პროკურატურის დადგენილება საქმის არაღძვრის შესახებ ისან-სამგორის სასამართლოში გასაჩივრდა.

ადვოკატთა თქმით, მოსამართლე თინათინ ფეიქრიშვილმა გააყალბა სხდომის ოქმი და არ დააკმაყოფილა სარჩელი. გუშინწინ ადვოკატმა კახა კახაბერმა რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

მედია-ნიუსი

მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხელფასი ნორვეგიელებს აქვთ

სამრეწველო სექტორში დასაქმებული ნორვეგიელი საათში საშუალოდ 23 დოლარსა და 13 ცენტს იღებს, მეორე ადგილზე გერმანელი მუშები არიან - 22,86 დოლარით, მესამეზე - დანიელები. ამერიკული "პროლეტარიატი" მხოლოდ მეოთხეზეა: მისი საშუალო საათობრივი ანაზღაურება 20 დოლარსა და 32 ცენტს შეადგენს. შემდეგ მოდის ავსტრია, ჰოლანდია, შვეცია და ინგლისი. ამ ქვეყნებში მუშების ხელფასი 16-დან 19 დოლარამდე მერყეობს – ნათქვამია აშშ მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობარში.

ევროპაში ყველაზე ნაკლებ ანაზღაურებას პორტუგალიელი მუშები იღებენ: სულ 4 დოლარსა და 75 ცენტს საათში.

ევროპელებზე გაცილებით ნაკლებს შოულობენ აზიელი მუშები. კორეაში მათი ხელფასი საათში 8 დოლარია, სინგაპურში 7,70, ტაივანსა და ჰონგ-კონგში 6 დოლარამდე.

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ხელფასი საკმაოდ კარგად ასახავს ქვეყნის განვითარების დონეს, ეროვნული სიმდიდრის ყველაზე კარგ მაჩვენებლად მაინც ითვლება მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე გაანგარიშებით.

ამ მხრივ პირველ ადგილზე აშშ-ა. ეს მაჩვენებელი აქ 35 ათას დოლარს შეადგენს, მეორეა ნორვეგია 31 ათასი დოლარით, მესამე – იაპონია 29 ათასი დოლარით. საინტერესოა, რომ ევროპაში მეორე ადგილზე გავიდა ირლანდია 28 ათასით, რომელმაც შორს გაასწრო თავის ყოფილ მეტროპოლიას – დიდ ბრიტანეთს, სადაც მშპ ერთ სულზე 23 ათას დოლარამდე აღწევს.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის უმუშევრობის მხრივ ესპანეთი ლიდერობს. აქ დაუსაქმებელია ყოველი მეათე. მას მოსდევენ იტალია, ესპანეთი და გერმანია. აზიაში, სადაც ხელფასები შედარებით დაბალია, უმუშევრობაც უფრო ნაკლებია. აზიურ ვეფხვებს შორის დაუსაქმებელთა რიცხვი ორჯერ ნაკლებია ევროპაზე.

ფოსტა

„მე არ ვარ შარაძის ადვოკატი!"

გაზეთ "24 საათის" ამა წლის 21 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით "როგორ გააცურა საკრებულომ შარაძე და სასამართლო", სადაც იურისტი ავთანდილ კახნიაშვილი გურამ შარაძის ადვოკატად იყო მოხსენიებული. ავთანდილ კახნიაშვილი ამ ფაქტს აპროტესტებს და აცხადებს, რომ იგი უპარტიო მოქალაქე და დამოუკიდებელი იურისტია. "20 ივნისს მერიის შენობის წინ სრულიად დამოუკიდებლად ვმოქმედებდი, მოსარჩელეს წარმოვადგენდი და არა შარაძის ადვოკატს. საქმე იმაშია, რომ მერიის შენობიდან "ხუთჯვრიანი" დროშის ჩემოხსნის მოთხოვნით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 4 დეკემბერს მივმართე. მანამდე კი 2001 წელს სარჩელი იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგაც შევიტანე. შარაძემ სასამართლოს ჩემს შემდეგ, 23 დეკემბერს მიმართა. სასამართლოს მსგავსი სარჩელები გააერთიანა და ორივე დააკმაყოფილა. 20 ივნისს მერიის შენობის წინ სწორედ სააღმსრულებლო ბიუროდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე გამოვცხადდი, დროშების ჩამოხსნის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე დასასწრებად", - აცხადებს ავთანდილ კახნიაშვილი.

მიწის კომპენსაციების გაცემა სახელმწიფოზეა დამოკიდებული

სოფიკო ოხანაშვილი

"რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში კომპენსაციების დარიგება დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მოგვაწვდის მიწის ნაკვეთების საკუთრების შესახებ დეტალურ ოფიციალურ ინფორმაციას," - განაცხადა BP-ის მიწის შესყიდვებისა და კომპენსაციის განყოფილების მენეჯერმა სტიუარტ დანქანმა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას კომპენსაციების დარიგების პროცესის გასაცნობად გუშინ გამართულ შეხვედრაზე. დანქანის თქმით, მათთვის ჯერ უცნობია, როდის დაიწყება ამ ორ რაიონში და რუსთავში მიწის მფლობელებისათვის კომპენსაციის დარიგება. მისი ვარაუდით, ეს პროცესი სახელმწიფოსგან ოფიციალური დოკუმენტაციის მიღებიდან სამი კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს.

სიუარტ დანქანმა არ იცის, როდის გასცემს კომპენსაციებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დანქანის განცხადებით, დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული რაიონებისა და რუსთავის გარდა ყველგან მიმდინარეობს მუშაობა. ამჯერად უკვე 1917 მიწის მფლობელისგანაა შესყიდული ნაკვეთები, რაც მთელი მარშრუტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების 70 პროცენტს შეადგენს. აქედან, BTCco-ს სახელზე უკვე დარეგისტრირებულია 1823 მიწის ნაკვეთი.

პროექტის ფარგლებში სულ 2900 მფლობელი მიიღებს თანხას მიწის ნაკვეთებისა და ერთი წლის მოსავლის დანაკარგის საკომპენსაციოდ. დაახლოებით, 280 ჰექტარი სახელმწიფო მიწის 150 მოიჯარე მიიღებს კომპენსაციას სამი წლის მოსავლის ზარალის სანაცვლოდ. დღეს არსებული ინფორმაციით, მიწისა და მოსავლის კომპენსაციის სახით, უკვე გაცემულია 12,5 მილიონი ლარი.

"საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" (სიპ) ფარგლებში, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მარშრუტის გასწვრივ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს, უკვე მოქმედებს ცხრა პროექტი. ამ დროისათვის 180 ჯგუფზე, მცირე სესხების სახით, უკვე გაცემულია 50 ათასი ლარი. პროგრამა სამ წელზეა გათვლილი. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ამოქმედდება ახალი პროგრამა, რომელიც მცირე ბიზნესის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

„ხელისუფლება ბოიკოტს გვიცხადებს!"

მაკა ჭაიანი

საუბარი იმ 1 მილიონ 100 ათას ლარზეა, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტში "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის" პროექტების დასაფინანსებლად გამოიყო. ბიუჯეტის დაგვიანებით მიღების გამო, მათზე ტენდერი ივნისის თვეში გამოცხადდა. კოალიციამ, რომელიც სხვა ორგანიზაციების მსგავსად, მონაწილეობას იღებდა კონკურსში, პირველი ტური გაიარა, მაგრამ პროცესი მოულოდნელად ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებით შეჩერდა.

ინვალიდები და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია მთავრობას მორიგ ტყუილში ამხელს

იაკო ლომიძის ფოტო

მიზეზად სააგენტოს მოქალაქე ნინო მარდალეიშვილის საჩივარი მოაქვს. ეკონომიკის სამინისტროს იგი საინიციატივო ჯგუფის სახელით მიმართავს და ამცნობს, რომ კოალიციას არა აქვს ტენდერში მონაწილეობის უფლება, რადგან "მასში შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობდნენ კონკურსის მომზადებაში", ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართ კი "სისხლის სამართლის საქმეა აღძრული". სააგენტომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 24-ე მუხლით იხელმძღვანელა და ტენდერი შემოსული საჩივრის საფუძველზე შეაჩერა.

გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე კოალიციის წევრები არა მარტო საჩივარში მოყვანილ ბრლადებებს, სააგენტოს გადაწყვეტილებასაც აპროტესტებდნენ. **"რატომ არ გამოიყენა სააგენტომ საკუთარი დებულების 36-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუკი საჩივარი კონკურსის პროცესს შეჩერებით ემუქრება, შეიძლება კონკურსის მსვლელობის პარალელურად იქნას განხილული?** - კითხულობს გიორგი ძნელაძე. - **ასეთი გადაწყვეტილებით ხომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება?"**

კოალიციის წევრები ირწმუნებიან, რომ ტენდერის მომზადებაში მათ არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ. **"როგორც ჩანს, საჩივრის ავტორი იმის გამოყენებას ცდილობს, რომ ჩვენთან შემომავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელები სახელმწიფო მინისტრთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს წევრები არიან,** - განმარტავს დავით მაისურაძე. - **ამ საბჭოს ტენდერის მომზადებასთან არანაირი კავშირი არა აქვს. რაც შეეხება საქმის აღძვრას. იმის გამო, რომ "ინვალიდთა ლიგის" ხელმძღვანელობის ბრალეულობა არ დადასტურდა, საქმე შეჩერებულია."**

ყველაფერი ამის უკან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წევრები გაცილებით დიდ მიზანს ხედავენ, ვიდრე მხოლოდ მათი კომპრომეტირებაა. **"ჩვენ გავარკვიეთ, რომ ნინო მარდალეიშვილი, მართლაც, ინვალიდია, მეტიც, იგი მწოლიარეა და საერთოდ არ არის ტენდერის მიმდინარეობის საქმის კურსში, მისი სახელი გამოიყენეს,** - აცხადებენ ისინი. - **კონკურსი ივლისის ბოლოსთვის გადაიდო, აგვისტოში ხალხი შვებულებაში გავა, სექტემბერ-ოქტომბერში კი, წინასაარჩევნოდ, ამ ფულს აღარავინ მოგვცემს."**

კოალიციის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ საქმის ასე გაჭიანურება ხელისუფალთ სწორედ არჩევნების გამო დასჭირდათ. **"ან იმის ეშინიათ, ჩვენ არ მოვახმაროთ ვინმეს ეს ფული, ან თავად სჭირდებათ! როდემდე უნდა ვეწირებოდეთ პოლიტიკას? ჩვენ არ ვაპირებთ პოლიტიკაში გარევას, ჩვენი საქმე გვაქვს",** - ამბობენ ისინი. **"ეს არის სეკვესტრის ერთ-ერთი ფორმა,** - ამატებს პარლამენტარი გოგა კოხრეიძე. - **ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც, ინვალიდებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირებისთვისაც კი, ფულს თავად ინვალიდები აგროვებენ!"**

ნეფროლოგი მინდა გამოვიდე

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ. დღევანდელი ამბის გმირი ნათია ტყაბლაძეა.

თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს მოუვლელ შენობაში ერთ-ერთ ჩვეულებრივ მოუწყობელ პალატაში რკინის საწოლზე იჯდა გოგონა, სუფთად გამოწყობილი, საგულდაგულოდ დავარცხნილი თმებით. ხელები მშვიდად დაესვენებინა მუხლებზე. საწოლზე მისი შუაში გადაშლილი წიგნი იდო. 14 წლის ნათია ტყაბლაძე მორიგ სამედიცინო კონსულტაციამდე თავს კითხვით ირთობდა.

ნათია ტყაბლაძეს დახმარება სჭირდება.

საავადმყოფოს გარემო მისთვის დიდი ხანია, აღარ არის უცხო. სამი წელია, რაც სისტემური ვასკულიტის ფონზე, თირკმლის ქრონიკული დაავადება - სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი განუვითარდა.

დიაგნოზის დადგენის შემდგომ ნათია მძლავრ იმუნოსუპრესიულ მკურნალობას იტარებდა. სწორად წარმართული მკურნალობის შედეგად დაავადება ნელი ტემპით პროგრესირებდა, თუმცა საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა ჩამოყალიბდა. ვინაიდან ნათიას თირკმლები ვერ ასრულებენ ორგანიზმის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას, დღის წესრიგში ხელოვნური თირკმლის, ანუ დიალიზის ჩატარების საჭიროება დადგა. ჯანმრთელობის სამინისტროდან მიწერილობის საფუძველზე მოხერხდა ნათიას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დიალიზის პროგრამაში ჩართვა. ამჟამად გოგონა დიალიზის სეანსზე კვირაში სამჯერ დადის. მას მუდმივად უდგას სპეციალური 200 ლარად ღირებული სისტემა, რომლის საშუალებითაც სამედიცინო მანიპულაციები და დიალიზი ხორციელდება. პერიოდულად სისტემა მწყობრიდან გამოდის. ამ დროს პაციენტს ამცივნებს, გრძნობს სისუსტეს, სხეულის ტემპერატურა უწევს. ყოველივე ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ამჟამად სისტემა გამოცვლას საჭიროებს.

ნათია ოჯახთან ერთად წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს.

დიალიზი თბილისში უტარდება. **ოჯახი** იძულებულია, დროებით ბინა თბილისში იქირაოს. როცა ამის საშუალება არ არის, მაშინ ნათესავებთან წყნეთში აფარებენ თავს. "დიალიზის მერე ნათია თავს შეუძლოდ გრძნობს, ძალიან დაღლილია, არაფრის თავი არ აქვს, მგზავრობაც ძალიან უჭირს", - ამბობს ნათიას დედა მზია ცერცვაძე. ტყაბლაძეების ოჯახისათვის წყნეთიდან თბილისში მგზავრობისათვის საჭირო ხარჯების დაფარვაც ძნელია.

ოჯახის საერთო **თვიური** შემოსავალი 150 ლარს არ აღემატება. ოჯახში ექვსნი ცხოვრობენ. ნათიას მამა ავტოსატრანსპორტო საწარმოში უსაფრთხოების ინჟინრად მუშაობს. მისი ხელფასი 35 ლარს შეადგენს. ქალბატონი მზია ამჟამად უმუშევარია. ოჯახის საერთო ბიუჯეტს ბებიას პენსია და პედაგოგი მამიდის ხელფასი ავსებს. ნათიას მკურნალობისათვის საჭირო თანხა კვირაში 200 ლარს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ დიალიზი სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, ნათიას მკურნალობისათვის საჭირო სხვა საშუალებები - ისეთი, როგორიცაა რეკორმონი, ალბუმინი, რკინის პრეპარატები, წნევის დამწევი პრეპარატები - ძვირად ღირებულია. სამი წლის განმავლობაში მუდმივი მკურნალობის ჩატარება ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით ხდებოდა. უკვე ყველა საშუალება ამოიწურა. "გაჭირვებით რაღაცას გავდივართ, ნათესაობა და მეგობრები გვიმართავენ ხელს - ფულს ვსესხულობთ. სია მაქვს ჩამოწერილი, რომ არ დამავიწყდეს, ვისი რამდენი მმართებს", - ამბობს ნათიას დედა.

გოგონას კი წინ რთული ოპერაცია ელის-თირკმლის გადანერგვა.

ნეფროლოგის მედეა ცანავას აზრით, რთული დიაგნოზის მიუხედავად, დაავადების პროგნოზი კეთილსაიმედოა, სიცოცხლის გახანგრძლივება შესაძლებელია. "ახლა ოჯახისათვის ისეთი ეტაპი იწყება, როდესაც მატერიალურად დიდი სიძნელეებია გადასალახი: მედიკამენტების შესაძენად მნიშვნელოვანი თანხაა საჭირო, ხარჯებს მოითხოვს დედის გამოკვლევა, რადგანაც სწორედ ბავშვის დედა წარმოადგენს დონორს", - ამბობს ქალბატონი მედეა.

დიალიზისაგან შეწუხებული და გადაღლილი ნათია მოუთმენლად ელოდება, როდის გაუკეთებენ ოპერაციას. რწმენა აქვს, რომ კარგად გახდება. აღნიშნავს, რომ ყველა მისი ექიმი უყვარს. მომავალში ნეფროლოგობა აქვს გადაწყვეტილი, რადგანაც თვლის, რომ ამ დარგში "გათვითცნობიერებულია". კიდევ კითხვა უყვარს და ხშირად ჩხირკედელაობს - ნებისმიერი ახალი ნივთი მის ხელს ვერ გადაურჩება. ვერ ისვენებს, თუ არ დაშალა, უჩხიკინა.

P.S. *თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:*
stagesngo@hotmail.com

ასოციაცია საფეხურები

ორი სიტყვით

თბილისი. 28 ივლისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, გაიმართება დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება. წლეულს სასწავლებელი 190-მდე ახალგაზრდამ ოცმეთაურის წოდებით დაამთავრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ყოფილი პარლამენტარი, ლუიზა შაკიაშვილი 23 ივლისს დააყაჩაღეს და მობილური ტელეფონი წაართვეს. იგი სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლებთან ერთად კაფე "ლაღიძის წყლებში" იმყოფებოდა, როცა ორმა პირმა მას ხელჩანთა გასტაცა.

ლუიზა შაკიაშვილის თანმხლებმა პირებმა და ინციდენტის შემსწრე მთაწმინდის რაიონის პოლიციის თანამშრომელმა თაღლითებისგან ხელჩანთის გამოხსნა მოახერხეს, თუმცა მათ "ნოკიას" მარკის მობილური ტელეფონი ჩანთიდან უკვე ამოღებული ჰქონდათ და მიმალვაც შეძლეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა რამდენიმე ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი მევლუდ ჭიჭიაშვილის რუსეთ-ჩეჩნეთის ომში მონაწილეობის ფაქტს ამოწმებს. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელის, პაატა მსხილაძის თქმით, რუსეთის გენპროკურატურაში მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჭიჭიაშვილი მონაწილეობდა აღნიშნულ დაპირისპირებაში. ამ ფაქტის გადამოწმების და დამტკიცების შემდეგ გაირკვევა, მოხდება თუ არა მევლუდ (შოთა) ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიცია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში რუსეთიდან 7 პატიმრის, ხოლო უკრაინიდან 3 პატიმრის ექსტრადიცია უახლოეს მომავალში განხორციელდება.

ქართულმა მხარემ ორივე ქვეყნიდან სულ 14 პატიმრის გადმოცემა მოითხოვა, მაგრამ რუსეთისა და უკრაინის პროკურატურებმა მხოლოდ პატიმართა აღნიშნული რაოდენობის ექსტრადიციის საქმე დააკმაყოფილეს. პატიმართა უმრავლესობას ბრალი ედება განზრახ მკვლელობაში, ყაჩაღობაში, იარაღის უკანონო შენახვა-გადაზიდვასა და ნარკოდანაშაულში. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებებისთვის იძებნებოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს ზესტაფონელი, ადრე ნასამართლევი, "კანონიერი ქურდი," 30 წლის მამუკა საველიევი, ასევე - ფოთში მცხოვრები, ნასამართლევი 24 წლის კობა ელიავა, რომლებიც ყაჩაღურად თავს დაესხნენ გივი სიხარულიძის ოჯახს. **ექსპრესი**

■ ■ ■

გარდაბანი. გუშინ პოლიციამ საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დეზერტირობისთვის ძებნილი ორი პირი - საგარეჯოელი ნიკოლოზ მახარობლიშვილი და მარნეულელი იალჩინ ასლანოვი დააკავა. მახარობლიშვილი ლილოს სასაზღვრო რაზმიდან 2003 წლის 2 იანვარს გაიქცა, ასლანოვმა კი მარნეულის საავიაციო სამხედრო ნაწილი 2003 წლის თებერვალში მიატოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისის პოლიციამ დააკავა ნასამართლევი, 25 წლის მამუკა ფოცხვერია, რომელმაც 50 წლის გურამ ფხაკაძეს ოქროს ყელსაბამი ჩამოჰგლიჯა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

კახეთი. როგორც მალარიის პროგრამის კოორდინატორი მერაბ იოსავა აცხადებს, კახეთში მოსულმა წყალდიდობებმა მალარიის კერები მთლიანად გაანადგურა და ინფექციის გავრცელება დროებით შეაჩერა, თუმცა, წყალდიდობის შეწყვეტის შემდეგ, ძლიერმა სიცხემ, შესაძლოა, ახალი კერები წარმოქმნას. იოსავას თქმით, ჯერჯერობით მალარიის დაავადების ახალი შემთხვევები შარშანდელთან შედარებით, ორჯერ არის შემცირებული. ამ დროისთვის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში 132 ინფიცირებულია რეგისტრირებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს, დილით, თბილისის ვაკე-საბურთალოსა და ნაწილობრივ მთაწმინდა-კრწანისის რაიონებს ბუნებრივი აირის მიწოდება დროებით შეუწყდება. ამისი მიზეზი გახლავთ "თბილგაზის" გაზგაყვანილობის ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც ქსელების რეაბილიტაციის ტენდერში გამარჯვებული სს "ინჟმშენი" ახორციელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურმა დედაქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე არაერთხელ დასვა გარე ვაჭრობის ადგილებში ცხელი კერძებით ვაჭრობის აღკვეთის საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ რეიდების დროს მოსიარულე მოვაჭრეებს ცხელ კერძებს ართმევენ და ანადგურებენ, ქუჩებში საჭმელების რეალიზაციის აღკვეთა მაინც ვერ ხერხდება. "არავინ იცის, რისგან და რა პირობებში მზადდება ეს საჭმელი", - აცხადებს სამსახურის ხელმძღვანელობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შაბათ-კვირას, 26-27 ივლისს დიღმის მასივის ტერიტორიაზე სანიტარული დღე ჩატარდება. "სანიტარულ დღეს ყველა მოვაჭრე და ჯიხურის მეპატრონე იქნება გაფრთხილებული და მათ თავისი ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების ნაგვისგან გასუფთავება და მოწესრიგება დაევალებათ", - აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის სამსახური. მსგავსი ღონისძიება დედაქალაქის სხვა რაიონებშიც იგეგმება. მომავალ შაბათ-კვირას სანიტარული დღე გლდანის მასივში ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

სამშვიდობო ოპერაციების პრივატიზაცია

იმ დროს, როდესაც შეერთებული შტატები ლიბერიაში მშვიდობისმყოფელების გაგზავნაზე იმტვრევს თავს, კერძო ანგლოამერიკულმა კომპანიამ გაეროსა და აშშ-ს ხელისუფლებას აფრიკაში საკუთარი შეიარაღებული ძალების გაგზავნა და ლიბერიის პრეზიდენტის ჩარლზ ტეილორის დაპატიმრება შესთავაზა.

კერძო სამხედრო კომპანია "ნორთბრიჯ სერვისი" გადამდგარმა ამერიკელმა და ბრიტანელმა სამხედროებმა დააარსეს. ამ კომპანიის განცხადებით, მათ შეუძლიათ, 500-დან 2000-მდე შეიარაღებული კაცი დაუყოვნებლივ ლიბერიაში გაგზავნონ, რათა სამოქალაქო ომი შეაჩერონ. "ჩვენ კონტიგენტს საერთაშორისო თანამეგობრობის ნორმების დაცვით შეუძლიათ მუშაობა. ამავდროულად, ისინი ამერიკელ ჯარისკაცებს ზარალს და დანაკარგებს აარიდებენ," - განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

ჯერ კიდევ ივნისში ამ ფირმამ გაერო-ს თავისი საპოლიციო ძალების, დაახლოებით, 60 კაცის გაგზავნა შესთავაზა ლიბერიაში პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორის დასაჭერად, რომელსაც ომების გაჩაღება და ათობით ქალის გაუპატიურება ბრალდება.

ამ წინადადებაზე შეერთებულ შტატებს ჯერჯერობით ოფიციალური თანხმობა არ განუცხადებია. თანხმობის შემთხვევაში, კომპანიის მომსახურების ხარჯები ვაშინგტონმა უნდა დაფაროს. ეს იდეა შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების მიერ სერიოზულად განიხილება, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გაგზავნილ ჯარისკაცებს შორის მოსალოდნელი მსხვერპლი ამომრჩევლებში ძალზე არაპოპულარულია.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა რამდენიმე წლის წინ განაცხადა, რომ რუანდაში კერძო არმიის გაგზავნის შესაძლებლობას განიხილავდა, მაგრამ, მისივე თქმით, "მსოფლიო, შესაძლოა, პრივატიზებული მშვიდობისათვის მზად არ აღმოჩნდეს".

თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდა და ახლა მსოფლიო, შესაძლოა, უფრო მეტად იყოს მზად. "ბრუკინგსის ინსტიტუტში" კერძო სამხედრო კომპანიების ექსპერტმა პიტერ სინგერმა განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციაში და განსაკუთრებით პენტაგონში ამგვარ კომპანიებთან თანამშრომლობა აქტიურად განიხილება.

კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენებას ეროვნულ არმიებში მსხვერპლის თავიდან აცილების გარდა, სხვა მიზეზიც აქვს: ამერიკის 33 დივიზიიდან, თითქმის, ნახევარი ერაყშია, ხოლო დანარჩენები ავღანეთში, სამხრეთ კორეაში, კოსოვოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებშია გაბნეული. ასე რომ, ჯარისკაცების შეზღუდული რაოდენობა მთავრობებს კერძო კომპანიების მომსახურების გამოყენებისაკენ უბიძგებს.

გასულ წელს გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატამ მთავრობას შესთავაზა, "დიდი ბრიტანეთის ჰუმანიტარულ და სამშვიდობო ოპერაციებში კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენების შესაძლებლობა დეტალურად განიხილონ, რათა საზღვარგარეთ ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა შეამცირონ".

კერძო ფირმებს გაერო განაღმვის ოპერაციებსა და მშვიდობისმყოფელების წყლით უზრუნველყოფისათვის ხშირად იყენებს. აღსანიშნავია, რომ ამერიკელების მიერ დაფინანსებული კერძო სამხედრო კომპანიები ლიბერიაში სხვადასხვა ოპერაციებში უკვე მონაწილეობდნენ. კერძო კომპანია იცავს ავღანეთის პრეზიდენტის, ჰამიდ კარზაის უსაფრთხოებასაც. ეს კომპანია გასამრჯელოს აშშ ბიუჯეტიდან იღებს.

"ნორთბრიჯის" წარმომადგენლის ინფორმაციით, მათი ინტერვენცია "ამერიკული ჯარების განთავსებასთან შედარებით ძალზე იაფი დაჯდება". თუმცა, მას კონკრეტული მონაცემები არ დაუსახელებია.

"ნორთბრიჯის" ამერიკული ოპერაციების დირექტორის პასკალ დიფოფის თქმით, მათ "პროფესიას ხალხის თვალში უსამართლოდ ჩირქი აქვს მოცხებული".

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ განაცხადა, რომ "ნორთბრიჯის" შეიარაღებული ძალების გამოყენება "სამშვიდობო პროცესს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს".

თუმცა, წინააღმდეგობის მიუხედავად, კერძო სამხედრო კომპანიები მთავრობებზე ზეწოლას ახდენენ. "საერთაშორისო მშვიდობის ასოციაციის" წარმომადგენლის დიუ ბრუკსის თქმით, გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების არმიები მონაწილეობენ. მისი მტკიცებით, კერძო კომპანიების მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციების ხარისხს აამაღლებს. "ხშირად აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ამ მისიებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. საბოლოო ჯამში, მსოფლიოში ურთულესი ამოცანების განსახორციელებლად ცუდად მომზადებული არმიები იგზავნებიან. კერძო არმიების შემთხვევაში კი ეს გამორიცხულია".

ამერიკელებმა სადამის დახოცილი ვაჟების ფოტოები გაავრცელეს

ერაყში აშშ-ს დროებითმა ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჟურნალისტებს სადამ ჰუსეინის ვაჟების ცხედრების დათვალიერების ნებას მისცემს. უდაის და ქუსაის სიკვდილის დადასტურების მიზნით კი გუშინ ამერიკელებმა ერაყში უკვე გამოსცეს სპეციალური გაზეთი, სადაც სადამის დახოცილი ვაჟებია აღბეჭდილი. აღსანიშნავია, რომ პარასკევი მუსულმანთათვის წმინდა დღედ არის აღიარებული და გაზეთები არ გამოდის.

ფოტოების გამოქვეყნება აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. მისი თქმით, ერაყელებმა უნდა იცოდნენ, რომ უდაი და ქუსაი ჰუსეინები მკვდრები არიან და არასოდეს დაბრუნდებიან. მან ასევე დასძინა, რომ მათი ცოცხლად შეპყრობის შანსები არ არსებობდა.

ბაღდადში გავრცელებული სპეცგაზეთი.

უდაის და ქუსაის გვამების ამსახველი ფოტოები ხუთშაბათს ტელევიზიით გადასცეს, თუმცა ერაყში უდიდეს ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა, რის გამოც მოსახლეობის უმრავლესობამ ამ ტელერეპორტაჟის ნახვა ვერ შეძლო. ამჟამად, გაზეთის გარდა, ბაღდადის მოსახლეობას კომპიუტერის დისკის შეძენაც შეუძლია, სადაც ჩაწერილია ქუსაის და უდაის ცხედრების ფოტოები და ასევე მათი ძველი სურათები შედარებისათვის. მათი ცხედრების იდენტიფიკაციას კი ამერიკელებმა ერაყის ყოფილი მთავრობის წევრები დაასწრეს, მათ შორის ექსვიცე-პრემიერი ტარიკ აზიზი. მათ სადამის ვაჟების სიკვდილი დაადასტურეს.

ამავდროულად, არაბულმა სატელიტურმა ტელეკომპანიამ ეთერში გადასცა ვიდეოჩანაწერი, სადაც ნიღბიანი შეიარაღებული პირები აცხადებენ, რომ სადამის ვაჟების მკვლელობისათვის შურს იძიებენ.

"ვფიცავთ ერაყელი ხალხის წინაშე, რომ ჩვენ გავაგრძელებთ ჯიჰადს ურწმუნოთა წინააღმდეგ. უდაის და ქუსაის სიკვდილისათვის შურს ვიძიებთ," - განაცხადა ერთ-ერთმა ნიღბიანმა, რომელმაც თავის თავს სადამის პირადი გვარდიის – ფაედინების წევრი უწოდა.

რა მოხდება, ევროკავშირს ევრო რომ გამოვაკლოთ?

რუსეთი ახალ ეკონომიკურ სივრცეს ქმნის

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვის "პრეზიდენტ-ოტელში" მიმდინარეობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების საკითხებისადმი მიძღვნილი მე-6 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრები. ოფიციალური მოსკოვის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ახალი ეკონომიკური სივრცე არ იქნება ახალი დსთ და მასში რესპუბლიკები ნებაყოფლობით გაერთიანდებიან.

სხდომა მიჰყავდა რუსეთის ვიცე-პრემიერს ხრისტენკოს, რომელმაც ბრიფინგზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სექტემბერში იალტაში დაგეგმილი დსთ სამიტისათვის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესაქმნელად ყველა დოკუმენტი მზად იქნება. ახალი სივრცის მომხიბლაობა მის ტერიტორიაზე საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლებაა. პრაქტიკულად ის, რაც დსთ-ს ეკონომიკურ პროგრამაშიც ეწერა. რამ შეუშალა ხელი მის ეფექტურ მუშაობას, ამაზე მოსკოვი დუმილს ამჯობინებს. რუსეთის ვიცე-პრემიერი არ აკონკრეტებს, თუ ვინ იქნება ლიდერი ახალ სივრცეში: "ჩვენ უნდა ვცნოთ თანაბარსაფეხურიანი და სხვადასხვასიჩქარიანი ინტეგრაციის პრინციპების გამოყენება ახალი ეკონომიკური სივრცის ჩარჩოებში, რაც ოთხი რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკაში დამატებით პრობლემებს და წინააღმდეგობებს არ შექმნის," - ამბობს ხრისტენკო.

ახალი კავშირის კოორდინაციისათვის ერთი ზენაციონალური ორგანო საკმარისია, რომელიც 5-7 წლის მანძილზე ერთიანი სივრცისათვის საკანონმდებლო ბაზას შექმნის, - ამბობენ ექსპერტები. მათი აზრით, ამ კავშირში გაწევრიანებით არავინ წააგებს. რუსი ექსპერტების თქმით, ზუსტად ამ პრინციპით შეიქმნა თავის დროზე ევროკავშირიც. მოსკოვში გამართულ სხდომაზე ითქვა, რომ ერთიანი ეკონომიკური საბჭო დსთ-ს პრინციპებს არ გაიმეორებს. საკითხავია, რომელი რესპუბლიკის ფულად ერთეულზე მოხდება სწორება ახალ კავშირში? რუსეთის ვიცე-პრემიერმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ეს არ იქნება არც დოლარი და მითუმეტეს, არც ევრო.

ახალ ეკონომიკურ კავშირს დაახლოებით 50 ხელშეკრულებისა და ამდენივე შეთანხმების გაფორმება დასჭირდება. მის ამოქმედებამდე კი პოტენციური მსურველებისათვის კარი ღიაა. რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ახალ კავშირში ყველა რესპუბლიკა მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა შევიდეს. მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ევროკავშირში, ოღონდ ევროს გამოკლებით.

ჟურნალისტების შეკითხვას, ხომ არ მოახდენს პოსტსაბჭოთა სივრცის ეს ახალი ორგანიზაცია რაიმე გავლენას მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკურ კურსზე, რუსეთის ვიცე-პრემიერმა უარყოფითი პასუხი გასცა.

ვაშინგტონმა, შესაძლოა, „ჰამასი" დააფინანსოს...

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ აშშ-ში თავისი პირველი ვიზიტი დაიწყო პალესტინის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ აბასმა. ამ ვიზიტზე ბევრი რამაა დამოკიდებული. კერძოდ, მაჰმუდ აბასმა აშშ ისრაელზე ზეწოლის განხორციელებაზე უნდა დაითანხმოს, რათა თელ-ავივმა სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" ერთ-ერთი აუცილებელი პირობა შეასრულოს და ციხეებიდან პალესტინელი პატიმრები გაათავისუფლოს. მართალია, ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაციამ პალესტინელ სტუმარს სხვა საჩუქარი მოუმზადა. კერძოდ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა განაცხადა, რომ რადიკალურ დაჯგუფება "ჰამასს" არსებობის უფლება აქვს, თუკი ის სუფთა პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნება. **"თუკი ორგანიზაცია, რომელიც ტერორისტულ კომპონენტსაც შეიცავს და ტერორისტული ფრთა გააჩნია, მთლიანად იტყვის უარს ამ საქმიანობაზე და აღარასოდეს დაუბრუნდება ტერორიზმს, მაშინ ეს სრულებით სხვა ორგანიზაცია იქნება,"** - განაცხადა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, რომელმაც გასულ თვეს "ჰამასს" **"მშვიდობის მტერი"** უწოდა. ამჟამად კი პაუელმა პოზიცია აშკარად შეარბილა. უფრო მეტიც, მან "ჰამასის" სოციალური ფრთა შეაქო კიდეც საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის. როგორც ცნობილია, "ჰამასი" სამხედრო მოქმედების გარდა, სოციალური და სამედიცინო მოღვაწეობითაც არის დაკავებული. აშენებს და მედიკამენტებით ამარაგებს საავადმყოფოებს, სხვადასხვა სოციალური პროგრამებით ეხმარება პალესტინელ ხალხს. გარდა ამისა, აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის სტრატეგიაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პალესტინელი ტერორისტები "მშვიდობიან ძალად" იქცნენ. ამის შესახებ "ვაშინგტონ პოსტის" გუშინდელი გამოშვება იუწყება.

"ჰამასს" ტერორიზმზე უარის თქმა, ალბათ, გაუჭირდება.

უნდა ითქვას, რომ კოლინ პაუელის აღნიშნული განცხადება აშკარად მაჰმუდ აბასის მიმართ გაკეთებული რევერანსია. თუკი პალესტინელი პრემიერი ვაშინგტონიდან "ხელცარიელი" დაბრუნდება, დღის წესრიგში უკვე მისი გადადგომის საკითხი დადგება. ეს ბუშის ადმინისტრაციას კარგად ესმის. გარდა ამისა, თუკი "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" პირობას ცეცხლის სამთვიანი შეწყვეტის შესახებ დაარღვევენ, "საგზაო რუკის" განხორციელებას ამჯერად უკვე წარმოუდგენლად რთული ბარიერები შეექმნება.

მაჰმუდ აბასმა, რომელიც ვაშინგტონში ვიზიტისას ებრაული თემის წარმომადგენლებს შეხვდა, განაცხადა, რომ ის აპირებს, აშშ-ს "ჰამასის" სოციალური საქმიანობის დაფინანსებაც თხოვოს. აბასის და ებრაელების შეხვედრა 75 წუთი გრძელდებოდა. **"ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუკი "ჰამასი" უარს იტყვის ტერორზე, რომელიც მისი პლატფორმის შემადგენელი ნაწილია,"** - განაცხადა გაერთიანებული სინაგოგების პრეზიდენტმა ჯუდი იუდოფმა. ყველას კარგად ესმის, თუ რატომ სჭირდება მაჰმუდ აბასს "ჰამასის" საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსება ამერიკული სახსრებით. **"მას იმედი აქვს, რომ აშშ-ს დამატებით ფინანსებს გამოართმევს, რათა "ჰამასის" სტრუქტურებთან ურთიერთობა მოაგვაროს, ხოლო ეს აბასს პალესტინელი ხალხის მხარდაჭერის გამყარებაში დაეხმარება,"** - აცხადებს ებრაული საბჭოს საზოგადოებრივი ურთიერთობის თავმჯდომარე მაიკლ ბოჰნენი. აბასმა ებრაელებთან შეხვედრაზე ის ოთხი სფერო მოხაზა, რომლებიც "საგზაო რუკის" რეალიზაციის პროცესში პალესტინელთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იმსახურებს. ეს სფეროებია: პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება, ებრაული დასახლებების მშენებლობის პროცესი, კედლის მშენებლობა ისრაელსა და პალესტინურ ტერიტორიებს შორის და პალესტინურ ტერიტორიებზე ისრაელის საკონტროლო-გამშვები პუნქტები. პალესტინელმა პრემიერმა ღიად განაცხადა, რომ ამ საკითხების გადაუჭრელობამ, შესაძლოა, ტერორისტული აქტები კვლავ განაახლოს. სწორედ ამიტომ, მაჰმუდ აბასი აშშ-ს დახმარებას თხოვს, რათა ისრაელმა "საგზაო რუკის" პირობები დაიცვას და ტერორისტულ ორგანიზაციებს მოქმედების საბაბი არ მისცეს.

ეს საკითხები მაჰმუდ აბასმა კონგრესში გამოსვლის დროსაც დააყენა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ბუშის მთელი ძალისხმევა, მშვიდობის დამყარების მიზნით, ფუჭი აღმოჩნდება, თუკი ვაშინგტონი ისრაელზე ზეწოლას არ მოახდენს.

ჯერჯერობით, ამის თაობაზე ბუშის გადწყვეტილება უცნობია. მან პალესტინელი პრემიერი გუშინ საღამოთი მიიღო. ხოლო ორშაბათს ვაშინგტონში ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ჩაბრძანდება. ჯერჯერობით ერთადერთი, რაც ამ ვიზიტის შედეგად არის ცნობილი, არის ის, რომ ვაშინგტონმა "ჰამასთან" დაკავშირებით თავისი პოზიცია შეცვალა. ეს კი არც თუ ისე უმნიშვნელოა. რით უპასუხებს ამ რევერანსს თავად "ჰამასი"?

ჩეჩენი გოგონას მკვლელს ათი წელი მიუსაჯეს

გუშინ რუსეთში დასრულდა პოლკოვნიკ ბუდანოვის გახმაურებული სასამართლო პროცესი. მოსამართლის გადაწყვეტილებით, სატანკო პოლკის ყოფილ მეთაურს ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას მკვლელობისათვის ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა. სასამართლომ ბუდანოვს ჩამოართვა სამხედრო წოდება და სამხედრო ჯილდოებიც.

პროცესი სამი წელი გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბუდანოვმა აღიარა 18 წლის ჩეჩენი გოგონას მოტაცებისა და მკვლელობის ფაქტი (თავიდან საქმეში ფიგურირებდა გაუპატიურების ბრალდებაც, მაგრამ მოგვიანებით იგი მოიხსნა), "ომის გმირი" პოლკოვნიკი რუსული საზოგადოებრივი აზრისა და სამხედროების ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა. მისი დამცველები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი "დროებით შეურაცხად" მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო მოკლული გოგონა სინამდვილეში მტრის სნაიპერი იყო.

რამდენჯერმე ჩატარებულმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ბუდანოვის შეურაცხადობა დაადასტურა. ექსპერტიზის შედეგები ბევრმა გაყალბებულად მიიჩნია, რადგან არც დანაშაულის ჩადენის დროს, როდესაც ბუდანოვი სატანკო პოლკს ხელმძღვანელობდა, და არც სასამართლო პროცესზე, როდესაც იგი ყურებდაცობილი იჯდა, იგი არანორმალურის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა.

როსტოვის სასამართლომ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა და ბუდანოვს ბრალდება მოუხსნა. რუსეთის უზენაესმა სასამართლომ განაჩენი გააუქმა და ახალი პროცესი დანიშნა. ახალმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ბუდანოვი შერაცხადად მიიჩნია. მის შედეგებზე დაყრდნობით, სასამართლომ პოლკოვნიკი დამნაშავედ სცნო.

განაჩენით, როგორც ჩანს, ყველა უკმაყოფილო დარჩა. მოკლული გოგონას მშობლები და ადვოკატი განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებიან. ბუდანოვის ადვოკატმა კი განაცხადა, რომ სასჯელი მეტისმეტად მკაცრია და იგი მის გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში აპირებს.

თურქეთი ერაყში "მნიშვნელოვან ფუნქციას" მოითხოვს

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული ვაშინგტონში იმყოფება, რათა ერაყში თურქი მშვიდობისმყოფელების გაგზავნის საკითხი გაარკვიოს და ამერიკა-თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობები განმუხტოს.

რევაზ ბახტაძე

"თურქეთს ერაყში უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს," - განუცხადა აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრამდე "ვაშინგტონ პოსტის" რედაქტორებს ამერიკაში მყოფმა აბდულა გულმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, პარლამენტი, სავარაუდოდ, მხარს არ დაუჭერს თურქი სამშვიდობოების ერაყში გაგზავნას, თუ თურქეთი ერაყის რეკონსტრუქციაში აქტიურ როლს არ შეასრულებს. "თუ პარლამენტარები დარწმუნდებიან, რომ მხოლოდ საპოლიციო ძალების გაგზავნა გვევალება, მაშინ კენჭისყრის შედეგები, შესაძლოა, უარყოფითი აღმოჩნდეს," - აღნიშნა გულმა.

თურქული საინფორმაციო წყაროების ცნობით, გულისა და ამერიკის თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის შეხვედრას ერაყის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პოლ ბრემერიც უნდა დაესწროს, რომელიც ერაყის რეკონსტრუქციაზეც აგებს პასუხს.

გულის ვიზიტის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ამერიკასთან დაძაბული ურთიერთობების განმუხტვა წარმოადგენს. თურქეთმა ამერიკას მის ტერიტორიაზე ერაყის წინააღმდეგ ჯარების გატარებაზე უარი უთხრა.

ორ მოკავშირეს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტის დროს დაიწყო. აპრილში პაუელის ვიზიტს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის უგურ ზიალის სტუმრობა მოჰყვა ვაშინგტონში, რომელმაც ამერიკელებს ერაყის რეკონსტრუქციაში თურქეთის მონაწილეობა შესთავაზა. თუმცა, ივლისის დასაწყისში ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ სულეიმანიაში ამერიკელი სამხედროების მიერ 11 თურქი ჯარისკაცის დაპატიმრებამ ორ მოკავშირეს შორის ურთიერთობები კვლავ გაამწვავა.

გულის თქმით, ვაშინგტონში ამერიკის მაღალი თანამდებობის პირებთან საუბარმა იგი დაარწმუნა, რომ თურქი ჯარისკაცების დაპატიმრება ადგილობრივი ამერიკელი სამხედრო მეთაურების გადაწყვეტილება იყო და არა ხელმძღვანელობის. "მე ვფიქრობ, ეს საკითხი ამოწურულია," - აღნიშნა მან.

თურქეთის მთავრობის აზრით, ერაყის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა ანკარას ამერიკასთან ურთიერთობებს მკვეთრად გააუმჯობესებს, მაგრამ წინასწარ ცნობილია, რომ პარლამენტში ამ მოსაზრებას არცთუ ისე ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ბოლო ხანს ამერიკაში სულ უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნა ერაყში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ.

გულის აზრით, ერაყის რეკონსტრუქციაში თურქეთის მონაწილეობა პარლამენტში გადაწყვეტილების გატანას გააიოლებს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის თქმით, თურქი სამშვიდობოების ერაყში გაგზავნა "ძალზე აქტიურად განიხილება".

გულის ვაშინგტონში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ანკარაში ამერიკის ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელი გენერალი ჯონ აბიზაიდი იმყოფებოდა. თურქული პრესის ინფორმაციით, აბიზაიდმა თურქეთის მმართველ წრეებს ერაყში 10 000 ჯარისკაცის გაგზავნა შესთავაზა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ერაყის მეზობლად თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიის დროს ერაყის მართვის გამოცდილება, ანკარას შეერთებული შტატებისათვის სასიცოცხლო მოკავშირედ აქცევს.

"ჩვენ იმ სამყაროს ნაწილი ვართ და, შესაბამისად, იქ არსებული ვითარება ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით," - თქვა აბდულა გულმა. "ჩვენ ამ რეგიონს ასწლეულების მანძილზე ვმართავდით. ჩვენ კარგი რჩევების მოცემა და ერაყის სტაბილიზაციაში საკვანძო როლის შესრულება შეგვიძლია," - დასძინა მან.

ბლერსაც და ბუშსაც მძიმე დღეები უდგათ

პირველი გვერდიდან

68 პროცენტმა განაცხადა, რომ ტყუილი მათი მთავრობისათვის ჩვეული ამბავია. კაბინეტის კომუნიკაციების სამსახურის უფროსისა და ბლერის მარჯვენა ხელის ალისტერ კემპბელისათვის ეს ნამდვილი "სასიკვდილო განაჩენია", მით უმეტეს, რომ ფაქტების შელამაზებაში სწორედ მას ადანაშაულებენ.

გამოკითხულთა ნახევარმა განაცხადა, რომ ბლერის მთავრობის ნათქვამ ერთ სიტყვასაც აღარ ენდობა.

ამასობაში კიდევ უფრო მწვავდება დაპირისპირება ბი-ბი-სი-სა და მთავრობას შორის. რამდენიმე ხნის წინ, სწორედ ბი-ბი-სი-მ, ანონიმ წყაროზე (როგორც მოგვიანებით გაირკვა, კელიზე) დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კემპბელმა და კომპანიამ "წაიმუშავეს" ერაყის დოსიეზე.

კემპბელმა სამაუწყებლო კომპანიას დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რაზეც ცივი უარი მიიღო.

მოგვიანებით, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოთვალა, ვინ უნდა ყოფილიყო ბი-ბი-სი-ს წყარო და მისი ვინაობა პრესას გაუმხილა.

ორი დღის შემდეგ კელი საკუთარი სახლის სიახლოვეს, ტყეში ვენებგადაჭრილი იპოვეს.

ბი-ბი-სი-მ აღიარა, რომ მისი წყარო სწორედ კელი იყო. აგორდა ძალზე სერიოზული სკანდალი იმის შესახებ, ვის მიუძღოდა ბრალი მეცნიერის თვითმკვლელობაში: მთავრობას თუ ტელეკომპანიას.

ჯერჯერობით სკანდალმა ყველაზე მეტად ბრიტანეთის მთავრობა დააზარალა.

კითხვა, რამდენად მართალი იყო ადმინისტრაცია, როდესაც ამტკიცებდა, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა, ძალზე აქტუალური გახდა ამერიკაშიც. ადმინისტრაციას მოუწია უკან წაეღო პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ ჰუსეინი აფრიკაში ცდილობდა ურანის შეძენას. უკვე ორმა მაღალი თანამდებობის პირმა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელმა ტენეტმა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ჰედლიმ საჯაროდ მოიხადეს ბოდიში იმის გამო, რომ პრეზიდენტის განცხადებაში უზუსტობა გაეპარათ. თუმცა, ამან საზოგადოების ყურადღება სადამის იარაღის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა.

ბლერსაც და ბუშსაც მძიმე დღეები უდგათ. პრესა და საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ომის დროს ლოიალურად იყო განწყობილი მათ მიმართ, კონტრშეტევაზე გადადის. თუმცა, ექსპერტების აზრით, მათ მდგომარეობას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ არც ბლერსა და არც ბუშს არ ჰყავს სათანადო პოლიტიკური ოპონენტი.

ჯომარდის დრომბონა

სანდრო ნავერიანი

დაგვიბრუნეთ!

როდემდე უნდა ვწეროთ ჩვენ, ჟურნალისტებმა, რომ რომელიღაც ფეხბურთელმა მეტოქის საჯარიმოში კარგად ჩააწოდა, ვიღაცამ მკერდზე მიიღო, გაისწორა, დაარტყა კარის მიმართულებით, მაგრამ... ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესო და მაღალი კლასის თამაში აჩვენეს, მაგრამ მეტოქე უფრო ძლიერი და იღბლიანი აღმოჩნდა.

დასრულდა ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის ბორჯომის თასის გათამაშება. თასს თეიმურაზ გაბაშვილი დაეუფლა. სამწუხაროდ, თეიმურაზი ტურნირზე რუსეთის სახელით გამოდიოდა.

ჩვენმა ფალავნებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ოქროს დაუფლებოდნენ, მაგრამ არაობიექტურმა მსაჯობამ, - ვერცხლიც ეყოფათო, - გადაწყვიტეს.

რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია, როდესაც ელდარ კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონი ხდება; გიორგი კანდელაკი მორიგი ნოკაუტით რინგზე დასცემს მეტოქეს; ქართველი ფეხბურთელები რუსეთის ნაკრებს ამარცხებენ და ქართველობას ეროვნულ დღესასწაულს გვიწყობენ, მაგრამ შედეგი?! შედეგი არ არის! რუსეთის ნაკრები შეიძლება იმდენჯერ დავამარცხოთ, რამდენჯერაც შევხვდებით, მაგრამ ამისთვის არც იოჰანსონი და არც ბლატერი არ მოგვცემს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის საგზურს.

გასაკვირია, როდესაც წარუმატებლობის შემთხვევაში (რაც ძალიან ძალიან ხდება) ხელისუფლებას ადანაშაულებენ. მათ ყველაფერი შეიძლება დავაბრალოთ, ის, რომ დენი, გაზი, წყალი არ გვაქვს, ის, რომ პენსია 14 ლარია და თვეების განმავლობაში არ რიგდება, ის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ, მაგრამ ის როგორ დავაბრალოთ, რომ გოლი ვერ გაგვაქვს და კალათში ბურთს ვერ ვაგდებთ?!

ამას წინათ იმელის შენობის წინ ვიდექი, სამარშრუტო ტაქსს ველოდებოდი. ამ დროს ქუჩა ხანში შესულმა კაცმა გადმოკვეთა. ტროტუარზე ასვლისას ფეხი ბორდიურს წამოჰკრა და ხეს შეეჯახა, მაგრამ არაფერი დაშავებია. ეს ინციდენტი არც ბორდიურის, არც იმ ჭადრის და, მით უმეტეს, არც ხელისუფლების ბრალი არ ყოფილა, მაგრამ კაცმა იმდენი აგინა ხელისუფლება და ხის დამრგველი, რომ... მერიაშიც კი გაიგეს მისი ხმა. გინებას მორჩა და, ვითომც არაფერიაო, წყნარად გაუყვა გზას. შეჯახებისას, ხიდან ოქროს ვაშლი რომ ჩამოვარდნილიყო, მადლობას არავის გადაუხდიდა. ის კი არა, გულშიც კი არ გაივლებდა, რომ ვინმესთვის მადლობა აქვს გადასახდელი.

როდესაც ვმარცხდებით, აუცილებლად ვპოულობთ მიზეზს, რომელზეც ვერავინ შეგვედავება. ასეთი კი მხოლოდ ჩვენი ღრმად პატივცემული მთავრობაა. როცა ვიმარჯვებთ, ის არავის ახსოვს, იმიტომ რომ მისი დამსახურება ჩვენს წარმატებაში ნულის ტოლია, რაც სამწუხარო რეალობაა. "თუმცა, ის სულ დამავიწყდა, როდესაც ბორჯღალოსნები მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდნენ, პირველი ლელო ჯორბენაძემ დადო და როდესაც რუსეთის ნაკრები დავამარცხეთ, ჩვენს კარს თავად პრეზიდენტი იცავდა." ეს გამარჯვებები მხოლოდ თქვენი დამსახურებაა, ვინც მოედანზე იყავით გასული და თუ კიდევ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ამ გამარჯვებებში რაიმე წვლილი მიუძღვის, ეს ის გულშემატკივარია, რომელიც ტრიბუნებზე თუ ტელეეკრანებთან ისხდნენ და სულით და გულით თქვენთან იყვნენ. ნუთუ არ გახსოვთ ის საღამო, როდესაც თბილისის ქუჩებში გამაყრუებელი სიგნალები და "საქართველოს გაუმარჯოს" ისმოდა?! ნუთუ არ გინდათ, რომ თვეში ერთხელ მაინც ხდებოდეს ასეთი რამ?!

იმ ხალხს, ვინც 1981 წელს სამი, ოთხი, ხუთი წლის ვიყავით ან საერთოდ არ ვიყავით დაბადებული, ძალიან გვინდა, ერთხელ მაინც განვიცადოთ ის გრძნობა, რასაც სიამაყე ჰქვია. არ გინდათ, თქვენით ვიამაყოთ? რა თქმა უნდა, ძალიან გინდათ! რა თქმა უნდა, გინდათ, რომ ევროპის ან მსოფლიოს თასს დაეუფლოთ! არ არსებობს ჯარისკაცი, გენერლობაზე არ ოცნებობდეს. არ გინდათ გენერლობა? არ გინდათ, გადაშალოთ გაზეთი და წაიკითხოთ არა ის, თუ ვინ გახდა ტურ დე ფრანსის გამარჯვებული - ულრიხი თუ არმსტრონგი, არამედ ის, რომ ირაკლი ლაბაძემ მერსედესის თასის ფინალში ენდი როდიკი დაამარცხა; ან სტატია - გუშინ "მედისონ სკვერ გარდენში" გიორგი კანდელაკმა თავისი ქართული მუშტები "რკინის მაიკს" დაუშინა და ჯართად აქცია; ან თუნდაც ის, თუ როგორი მაღალი კლასის ფეხბურთი ითამაშა ჩვენმა ნაკრებმა ბელგიაში, ადგილობრივ ნაკრებთან და ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა.

იცით, რას გეტყვით?! ჩვენ მოვითმენთ, და რომც არ მოვითმინოთ, მეტი არაფერი დაგვრჩენია. ჩვენ გულშემატკივრები ვართ და 20, 30 წლის მერეც იმად დავრჩებით, რაც ვართ, დრო ბევრი გვაქვს, თქვენ კი - ცოტა და ამიტომ გამოიყენეთ. იყავით თქვენი საქმის გენიოსები და გაითვალისწინეთ ედისონის მოსაზრება: "გენიოსობა ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი - ოფლი." ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, გენიოსი გულშემატკივრები ვიქნებით და ბიუფონის სიტყვებს - "გენიოსობა სხვა არაფერია, თუ არა უდიდესი ნიჭი მოთმინებისა" - ყურად ვიღებთ.

გთხოვთ! უფრო ძლიერად და მონდომებით იქნიეთ ხელ-ფეხი, რათა ჩვენ ქუჩაზეც მოვიდეს გაზაფხული. ერთ გიტარისტზე თქვეს: "ეს ხომ მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტია იმ შავი ბიჭის მერე, პარიზიდან". გინდათ, თქვენზეც ასე თქვან? გინდათ, რომ საუკეთესოები იყოთ ვიღაც შავი ბიჭის მერე, პარიზიდან? რა თქმა უნდა, არ გინდათ! ჰოდა, გამოგვიყვანეთ "ჟუჟუპ"-ის ჩრდილიდან, აღარ გვინდა ცრემლების ღვრა და წუწუნი იმაზე, რაც იყო. ოდესღაც ჩვენც ხომ ბურთი გვიგორებია...

ფაქტობრივად, იმის დაბრუნებას გთხოვთ, რაც თქვენ არ წაგირთმევიათ, მაგრამ მაინც მოვითხოვთ, რომ დაგვიბრუნოთ...

TV-სპორტი

შაბათი. 26 ივლისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "სელტიკი" (შოტლანდია)
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ვალენსია"
17:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. "როსტოვი" - "რუბინი"
21:50 "საფეხბურთო სამზარეულო"
22:20 "FUTBOL MUNDIAL"
22:50 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:55 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "სელტიკი" (შოტლანდია)

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 17:00, 20:30 პრეს-ცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 "პოსტსკრიპტუმი"
12:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი
13:45 "სპორტული გლობუსი"
15:00 გოლფი. "ბრითიშ ოუფენ". მეოთხე დღე
17:15 საკალათბურთო მიმოხილვა. WNBA
17:55 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. კუბა - იაპონია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ბოულინგი. "PBA Tour"
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. რუსეთი - ჩინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:10 "პოსტსკრიპტუმი"
01:10 ახალი ამბები
01:25 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:00 "სუპერრბოლები უქმე დღეებში". ტელეჟურნალი
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
13:30 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
14:45 სუპერრბოლები უქმე დღეებში. ჩემპიონატი ბელგიაში
15:45 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
17:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
18:45 სუპერრბოლები უქმე დღეებში. ჩემპიონატი ბელგიაში
19:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:30 სუპერრბოლები უქმე დღეებში. ჩემპიონატი ბელგიაში
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
22:45 სუპერრბოლები უქმე დღეებში. ჩემპიონატი ბელგიაში
23:00 ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ლიხტენშტაინში
01:00 სუპერრბოლები უქმე დღეებში. ჩემპიონატი ბელგიაში
01:30 ჩოგბურთი. "WTA ტურნირი აშშ-ში"
03:00 ახალი ამბები
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
03:45 მოტორბოლა. გერმანიის გრან-პრი
04:45 ახალი ამბები

ველორბოლა

ვინ თამაშობს და ვისი სიყვარულია ნამდვილი?

ნინო პირველი

ტურ დე ფრანსი ნელ-ნელა დასასრულისკენ მიიწევს. კვირას უკვე ახალი ჩემპიონის ვინაობა გახდება ცნობილი. პარიზში ტრიუმფით შესვლა ძალიან უნდა ორივე ფავორიტს - ტურის ოთხგზის გამარჯვებული ლანს არმსტრონგი მეხუთე ტიტულზე ოცნებობს, 1997 წლის ჩემპიონი და გასულ სეზონში დოპინგსკანდალის მსხვერპლი იან ულრიხი კი ღირსეულ რეაბილიტაციაზე ფიქრობს. სპორტში ვინ ვის ჯობია, ეს ცოტა ძნელი გასარკვევია. სპეციალისტები ამ ორს თანაბარი ძალის ველომრბოლად თვლიან. აი, პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი ბევრად უფრო მარტივადაა. გულშემატკივართა სიმპათია აშკარად იხრება იან ულრიხისკენ, რადგან არმსტრონგს მეტად არასაიმედო ადამიანად მიიჩნევენ. მას შემდეგ კი, რაც მეთხუთმეტე ტურში ულრიხმა არ მოისურვა, წაქცეული მეტოქისთვის გაესწრო და ჯენტლმენურად დაელოდა ამერიკელის გონზე მოსვლას, გერმანელის აქციებმა კიდევ უფრო მოიმატა. იან ულრიხს პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე აქვს. გასულ სეზონში აკიდებული ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გერმანელმა გონივრულად გამოიყენა. ტრავმა მოიშუშა, ცოტა ხნით დაისვენა და მეგობარ ქალთანაც მოაწესრიგა ურთიერთობა. იან ულრიხი და მისი გაბი 1994 წლიდან ერთად არიან, მაგრამ აქამდე ვერც დაქორწინებისთვის მოიცალეს და ვერც ბავშვებისთვის. ახალგაზრდა სპორტსმენი პატივმოყვარე იყო და ბრწყინვალე კარიერის გაკეთება სურდა, რის გამოც ოჯახზე ფიქრისთვის დრო აღარ რჩებოდა. როცა აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ამხილეს და ველოსპორტს დროებით ჩამოაშორეს, იან ულრიხის ცხოვრებაში სიყვარულის ზეობის ხანა დადგა. ის სრულიად თავისუფალი იყო სპორტისგან და გაბისთან ერთად ატარებდა დროს. ეს იძულებითი პაუზა ძალზე სასარგებლო გამოდგა მათი ურთიერთობისთვის. სამი კვირის წინ ულრიხი მამა გახდა. გოგონას სარა მარია დაარქვეს. იანი იმდენად ბედნიერი იყო, რომ თავიდან თითქოს აღარც კი უნდოდა ტურ დე ფრანსზე გამოსვლა. გერმანელი ჟურნალისტები ირწმუნებოდნენ, იანი გაბის და ახალშობილ სარა მარიას ასე დიდი ხნით არ დატოვებს და ტურზე გამოსვლის ნაცვლად შვებულებაში წავაო, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. ულრიხი საფრანგეთში გაემგზავრა და ტურის მოგებაზეც კი განაცხადა პრეტენზია, რასაც ლანს არმსტრონგი ნამდვილად არ ელოდა.

იან ულრიხი

იან ულრიხისგან განსხვავებით, ამერიკელ სპორტსმენს ყველაფერი რიგზე ვერა აქვს პირად ცხოვრებაში. ლანს არმსტრონგს სამი შვილი ჰყავს: სამი წლის ლიუკი და ერთი წლის ტყუპები - გრეისი და იზაბელი. მის მეუღლეს კრისტინი ჰქვია. არმსტრონგს უკვე დიდი ხანია პრობლემები აქვს კრისტინთან. 2002 წლის ოქტომბერში კრისტინმა არმსტრონგი მარტო დატოვა ესპანეთში, ფეშენებელურ ვილაში და ბავშვებთან ერთად ტეხასში გადავიდა საცხოვრებლად. 2003 წლის თებერვალში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ არმსტრონგი და კრისტინი ერთმანეთს დაშორდნენ. ამერიკაში ჭორაობდნენ, არმსტრონგს სხვა ქალი ჰყავსო. ეს კი მეტად არაეთიკური საქციელი იყო ველოსპორტის ღმერთისთვის. კრისტინს ხომ წუთითაც არ მიუტოვებია ლანსი, როცა ის მძიმე ავადმყოფი იყო და გადარჩენისთვის იბრძოდა. მალე არმსტრონგი მიხვდა, რომ თუ ცოლს არ შეურიგდებოდა, მისი იმიჯი საგრძნობლად შეილახებოდა და აპრილში კრისტინს რომანტიკული რანდევუ დაუნიშნა პარიზის ერთ-ერთ რესტორანში. ლანსმა ცოდვები მოინანია და სანთლების შუქზე მეუღლეს პატიება სთხოვა. კრისტინმაც აპატია. თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მხოლოდ დროებით. მათი ურთიერთობა ისევ დაიძაბა. ახლა უკვე ყველა ხმამაღლა საუბრობს იმაზე, რომ არმსტრონგს მეუღლესთან შერიგება მხოლოდ ფორმალურად სურდა. ოქტომბერში არმსტრონგის წიგნი უნდა გამოვიდეს. თუ ამ დროისთვის არმსტრონგი და კრისტინი ერთად აღარ იქნებიან, ეს ველომრბოლის რეპუტაციას შელახავს და წიგნი კარგად აღარ გაიყიდება. სწორედ ამიტომ არმსტრონგს, უბრალოდ, სჭირდება მეუღლესთან ჰარმონიაში ყოფნა. ეს შერიგებაც ამიტომ გაითამაშაო, - ამტკიცებენ ამერიკელები. კრისტინი ამ ჭორებს არც ადასტურებს და არც უარყოფს. ის ტურზეც გამოჩნდა ბავშვებთან ერთად. დილის თერთმეტ საათზე ჩავიდა მეუღლის სანახავად და საღამოს ხუთ საათზე დაბრუნდა უკან. ადრე უფრო დიდხანს რჩებოდა ხოლმეო, - ირონიულად შენიშნეს ჟურნალისტებმა. კრისტინმა მხოლოდ ერთხელ გააკეთა კომენტარი და ასეთი რამ თქვა: "ჩვენ გვქონდა ექვსი სახლი, სამი ენა, ორი ქვეყანა, ერთი გამარჯვება კიბოს წინააღმდეგ, სამი შვილი და ოთხი მოგებული ტურ დე ფრანსი. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში იმდენი რამ მოხდა, რომ საერთოდ გამოვიფიტეთ. ეს კრიზისიც, ალბათ, ამის ბრალია. თუმცა, მე ისევ მის გვერდით ვარ და ეს უკვე კარგის ნიშანია." ასეთი ახსნის მიუხედავად, ბევრს მაინც არ სჯერა არმსტრონგის ბედნიერების. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ არმსტრონგი თამაშობს, მას კრისტინი აღარ უყვარს. იან ულრიხი კი, პირიქით, სწორედ ახლაა ყურებამდე შეყვარებული დაამის გამო ძალიან ბედნიერიც. მის სრულ ბედნიერებას მხოლოდ ტურ დე ფრანსის მოგება აკლია.

ფეხბურთი

ალათასა ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა...

გუშინ შვეიცარიის ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა მოეწყო. უკვე კარგა ხანია, ამ პროცედურას ქართული კლუბებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ ფეხბურთის მოყვარულთ თუ დააინტერესებთ მისი შედეგები.

კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე მესამე ეტაპის მონაწილე გუნდები, მათი და ქვეყნის რეიტინგიდან გამომდინარე, უეფამ ორ კალათში გადაანაწილა. კენჭისყრა ჩაატარა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა, რომლისთვისაც ეს პროცედურა ერთ-ერთი უკანასკნელი იყო - 60 წლის აიგნერი, რომელიც თითქმის 15 წლის მანძილზე ატარებდა კენჭისყრებს, დეკემბერში პენსიაზე გადის. თბილისის დროით ზუსტად 15 საათზე აიგნერმა თავისი ნავარჯიშევი ხელი ორიდან ერთ-ერთ კალათში ჩაუშვა და... დაახლოებით ერთ საათს გაგრძელებული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ცსკა (რუსეთი)/ვარდარი (მაკედონია) - სპარტა (ჩეხეთი)
მტკ (უნგრეთი)/ჰიკ (ფინეთი) - კაუნასი (ლიტვა)/სელტიკი (შოტლანდია)
რეინჯერსი (შოტლანდია) - კოპენჰაგენი (დანია)/შლემა (მალტა)
აუსტრია (ავსტრია) - მარსელი (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) - ბორუსია (გერმანია)
შერიფი (მოლდოვა)/შახტარი (უკრაინა) - ლოკომოტივი (რუსეთი)
ლაციო (იტალია) - ბენფიკა (პორტუგალია)
დინამო კიევი (უკრაინა) - მარიბორი (სლოვენია)/დინამო ზაგრები (ხორვატია)
ბოჰემიანსი (ირლანდია)/რუსენბორგი (ნორვეგია) - დეპორტივო (ესპანეთი)
გრასჰოპერსი (შვეიცარია) - აეკ (საბერძნეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)/მაკაბი თელ-ავივი (ისრაელი) - ჩელსი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) - ლეოტარი (ბოსნია)/სლავია (ჩეხეთი)
პარტიზანი (სერბია და ჩერნოგორია)/იურგარდენი (შვედეთი) - ნიუკასლი (ინგლისი)
გალათასარაი (თურქეთი) - პიუნიკი (სომხეთი)/ცსკა (ბულგარეთი)
რაპიდი (რუმინეთი)/ანდერლეხტი (ბელგია) - ვისლა (პოლონეთი)/ომონია (კვიპროსი)
ტირანა (ალბანეთი)/გრაცერი (ავსტრია) - აიაქსი (ჰოლანდია)

საწყლოსნო სპორტი

"ცარმა" სამეფო განიმტკიცა

ბიბა ბურასაშვილი

ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა მეორედ გაიბრწყინა. არც იაპონელმა კოსუკე კიტაჯიმამ გატეხა სიტყვა. თითოეულმა მათგანმა კაცობრიობა ერთი ნაბიჯით დააწინაურა. მაგრამ თუ მათ შორის ვინმეს გამორჩევა შეიძლება, ეს, პირველ რიგში, რუსი ალექსანდრ პოპოვია - მოცურავე, რომელსაც სპორტულ სამყაროში დიდ პატივის სცემენ.

ბარსელონაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე დღე, მართლაც, თვალსასეირო გამოდგა. ადრეც ხომ აღვნიშნეთ, დაიწყო მსოფლიო რეკორდების ათვლაო. წინა დღეებში გაცამტვერებულ ოთხ მსოფლიო რეკორდს მეხუთე დღეს ორი ამგვარი მიღწევაც დაემატა. რეკორდები თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ იმ დღეს ყველაზე მეტი ყურადღებით სარგებლობდა ის, ვისაც სარეკორდო დროში არ გაუცურავს, თუმცა, ერთგვარი რეკორდის ავტორი მაინც გახდა. "ცარად" წოდებულმა ალექსანდრ პოპოვმა კლასიკურ ანუ სპრინტერულ დისციპლინაში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატების მესამე ოქროს მედალი მოიპოვა.

"პალაუ სანტ ხორდის" საცურაო კომპლექსში თავშეყრილ 11 ათას გულშემატკივარს დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ოვაცია არ დაუშურებია მისთვის. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს რომის კოლიზეუმში იმპერატორს ეგებებოდნენ და ტიტულატურასთან ერთად მის ზეწოდებებსაც გაიძახოდნენ: "ცარი", ალექსანდრე "დიდი", "ლეგენდა", ან იქნებ "მითი"? სწორედ ეს უკანასკნელი კითხვა გაუჩნდათ ჩვენს უცხოელ კოლეგებს, რომლებიც, დაბნეულნი, ერთმანეთში ბჭობდნენ, რუსი მოცურავე "ცარს" უფრო იმსახურებს სახელად თუ "მითსო". თუმცა, საკუთარ შეკითხვას თავადვე პასუხობდნენ: მის მსგავს სპორტსმენს ერთიც შეეფერება და მეორეცო.



"ცარმა" გამარჯვების ნიშნად ხელები აღმართა

REUTERS

ერთი სიტყვით, ბარსელონაში გამარჯვების შემდეგ პოპოვი ერთადერთია, რომელიც 100 მეტრზე "თავისუფალში" სამგზის მსოფლიო ტრიუმფატორია. საგულისხმოა, რომ რუსი მოცურავის სპორტული კარიერა სწორედ ბარსელონაში, 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დაიწყო. ბარსელონიდან ბარსელონამდე ანუ მსოფლიო ჩემპიონატამდე პოპოვმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. თუ ევროპის ჩემპიონატების ტიტულებს გვერდზე გადავდებთ, იგი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორია. ერთი რამ უდავოა: დღემდე ასეთი მიღწევით ვერავინ დაიკვეხნის. უეჭველია, პოპოვის შედეგის გაუმჯობესებას მომავალში ბევრი შეეცდება.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სპორტსმენთა ასაკობრივმა ზღვარმა მოიმატა. საქმე ის არის, რომ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი 16 ნოემბერს 32 წლის ხდება. ადრე კი, თუ ამ ასაკის სპორტსმენები პენსიაზე არ გადიოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი შეექციათ. ეს ისე, პირობითად, თორემ სტატისტიკურად 30 წელს გადაცილებული მოცურავე სპორტულ კარიერას თავს ანებებდა. დღეს სულ სხვა სურათია და ამის დასტურად ისევ პოპოვი გამოდგება. რუსი მოცურავე რომ გამონაკლისად არ ჩავთვალოთ, მაგალითისთვის მოვიშველიოთ პოპოვის ამერიკელი კოლეგა, 30 წლის ჯენი ტომპსონიც, რომელმაც ჩემპიონატის პირველ დღეს 100 მეტრზე ბატერფლაით ქალთა ფინალური გაცურვა მოიგო.

და მაინც, ვისთან უწევდა ალექსანდრ პოპოვს ფინალში ჭიდილი. ასეთები იყვნენ ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი და ავსტრალიელი იან ტორპი, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე შედეგით დაასრულეს ასპარეზობა.

"რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. პოპოვთან დუელში სამართლიანად დავმარცხდი. თუმცა, უკვე მეტი სტიმული მაქვს იმისთვის, რომ მომავალში მის დამარცხებას შევეცადო", - პოპოვთან მარცხს აღიარებს ჰუგენბანდი.

რაც შეეხება ავსტრალიელს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ბრინჯაოს მედალი უჩვეულოა, ამ დისციპლინაში მესამე ადგილიც საუკეთესო შედეგია.

ნამდვილად საუკეთესო შედეგებით კი მაიკლ ფელპსმა და კოსუკე კიტაჯიმამ გამოიჩინეს თავი. როგორც ვთქვით, ორივემ უსწრაფესად გადასერა აუზი.

ფელპსმა, ისევე როგორც ადრე (200 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალურ გაცურვაში) მსოფლიო რეკორდი ამჯერადაც ნახევარფინალში, 200 მეტრზე კომპლექსურში დაამყარა (1.57,52). იაპონელმა კი პირობა შეასრულა და 200 მეტრზე ბრასით ფინალში დაამყარა მსოფლიო რეკორდი (2.09,42). ახლა მხოლოდ ისღაა გასარკვევი, ვინ დასახელდება ჩემპიონატის საუკეთესო მოცურავედ - მაიკლ ფელპსი, იან ტორპი თუ კოსუკე კიტაჯიმა.

ინფოთეკა

ფეხბურთი. თავისი ახალი მეპატრონის, რომან აბრამოვიჩის სოლიდური ფინანსური შესაძლებლობებით მომძლავრებული ლონდონის "ჩელსი" სატრანსფერო ბაზარზე ერთობ აქტიურობს. ამ გუნდმა უკვე შეიძინა ჯერემი, გლენ ჯონსონი, დემიენ დაფი და უეინ ბრიჯი. ამის მიუხედავად, აბრამოვიჩი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს. მას "ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა შუა ხაზში ორი კვალიფიციური მოთამაშის მოყვანა სთხოვა და აბრამოვიჩმაც უკვე დაიწყო მოლაპარაკებები კლოდ მაკელელესთან და ემერსონთან. ინგლისური კლუბი მზადაა, "რომას" ბრაზილიელ ნახევარმცველში 25 მილიონი ევრო გადაიხადოს. თუ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა ამ წინადადებას დათანხმდება, კონტრაქტი უახლოეს ორ დღეში გაფორმდება. რაც შეეხება მაკელელეს, რომელიც პოპულარულმა ჟურნალმა "ფრანს ფუტბოლმა" გასული სეზონის შედეგების მიხედვით ევროპის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, მის გადაბირებას "არისტოკრატთა" გუნდი მაღალი ხელფასით ცდილობს. "რეალში" ფრანგ ნახევარმცველს თვეში 130 ათას დოლარს უხდიან, ხოლო თუ იგი "ჩელსიში" გადავა, ორჯერ მეტს მიიღებს.

■ ■ ■

ჰოკეი. გუშინ NHL-ის კლუბ "ლოს ანჯელეს კინგზთან" კონტრაქტი გააფორმა თავდამსხმელმა ლუკ რობიტაილმა. 37 წლის ვეტერანმა ჰოკეისტმა 1986 წელს სწორედ ამ კლუბში დაიწყო კარიერა. ეს გადასვლა რობიტაილისთვის "კინგზში" მესამედ მისვლა იქნება. ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი "დეტროიტის" ღირსებას იცავდა. თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ლუკ რობიტაილის ანგარიშზე 631 გოლია, რაც ცაცია თავდამსხმელისთვის NHL-ის აბსოლუტური რეკორდია. "დეტროიტისთვის" ბრწყინვალე 2001-2002 წლების სეზონის შემდეგ, რომელშიც ამ კლუბმა სტენლის თასი მოიგო, ხოლო რობიტაილმა 30 შაიბა გაიტანა, ფორვარდის კარიერაში ჩავარდნის პერიოდი დაიწყო - გასული სეზონის 81 მატჩში მან მხოლოდ 11-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი და 20 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

■ ■ ■

კალათბურთი. "ორლანდო მეჯიქმა", რომელიც დღე-დღეზე გაუფორმებს კონტრაქტს ზაზა ფაჩულიას, თავის რიგებში მიიწვია გამთამაშებელი ტაირონ ლიუ, რომელიც ორლანდოელებთან თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ლიუს მიწვევით "მეჯიქმა", პრაქტიკულად, დაასრულა სასტარტო ხუთეულის დაკომპლექტება.

გასულ სეზონში ტაირონი "ვაშინგტონ ვიზარდზის" რიგებს იცავდა და საშუალოდ ერთ მატჩში 8,6 ქულასთან ერთად 3,5 შედეგიან გადაცემასაც აგროვებდა.

"მე დოკ რივერსს ("ორლანდოს" მწვრთნელი, - რედ.) ვუთხარი, რომ მზად ვარ, გუნდის ლიდერის ფუნქცია ვიტვირთო, ოღონდ, ამისთვის დანარჩენმა კალათბურთელებმა და მწვრთნელმა უნდა შემიწყონ ხელი", - განუცხადა ლიუმ პრესას.

■ ■ ■

ავტორბოლა. ძვირად ღირებული სპორტული ავტომობილების ცნობილი გერმანული მწარმოებლის, კომპანია "Porshe"-ს ავტორბოლებში დაბრუნება ჭიანურდება. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვენდლინ ვედკინგმა. "ჩვენ ამ ნაბიჯის გადადგმას მისი სიძვირის გამო არ ვჩქარობთ", - განაცხადა მან.

კომპანიის კონსტრუქტორთა ჯგუფს უკვე მომზადებული აქვს იმ მანქანის ნახაზები, რომლითაც მომავალ წელს ავტორბოლებში ჩართვა იგეგმებოდა. ამის მიუხედავად, ეს საკითხი, სულ მცირე, ერთი წლით მაინც გადაიდო.

■ ■ ■

ჩოგბურთი. სერენა უილიამსი მონაწილეობას მიიღებს ტელესერიალში "ქუჩების დრო", რომელიც ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის ეთერში გადის. როგორც გაირკვა, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ქალბატონი ამ ტელესერიალის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. ფილმში იგი განასახიერებს ქუჩის ბანდის წევრს, რომელიც გამოსწორების გზაზეა დამდგარი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი დმიტრი სიჩოვი, რომელიც ამჟამად მარსელის "ოლიმპიკის" ღირსებას იცავს, სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მას საფრანგეთში კარგად ვერ აეწყო საქმეები და ისევ რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნებას გეგმავს. სიჩოვი უახლოეს დღეებში ჩაფრინდება მოსკოვში და მისით დაინტერესებულ კლუბებთან, ცსკა-სთან და "სპარტაკთან" მოლაპარაკებებს გამართავს.

ხუჯაძის ახალი პროექტი

ნანა ბასილაშვილი

ახალი პროექტი, რომლის შესახებაც გუშინ, საპროდიუსერო კომპანია "5 Line Production-ის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გაცხადდა, თანამედროვე ქართული ესტრადის თაყვანისმცემლებს, უფრო კონკრეტულად კი მომღერალ დათო ხუჯაძის ფანებს გაახარებს. "თქვენთვის ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მომღერალი დათო ხუჯაძე, ამჟამად კომპანია "5 Line Production"-თან, ერთობლივ პროექტზე მუშაობს", - თითქმის ნახევარი საათის დაგვიანებით განუცხადა კომპანიის პროდიუსერმა, მამუკა სააკაშვილმა, მათ ოფისში შეკრებილ ჟურნალისტებს.

პოპ-ვარსკვლავს, შედარებით ნაკლებად ცნობილ კომპანიასთან ერთობლივ პროექტზე მუშაობა, უკვე დიდი ხნის წინათ დაუწყია. მათ მიერ ჩაიწერა რამდენიმე სიმღერა. ამას გარდა, პროექტის პირველი ეტაპი ახალი ალბომის ჩაწერასა და ახლო მომავალში ორი კლიპის გადაღებას ითვალისწინებს. ამავე დროს გაიმართება ორი კონცერტი. საკლუბო და შედარებით ფართომასშტაბიან საღამოებზე, მომღერალი მხოლოდ და მხოლოდ ახალ სიმღერებს შეასრულებს. ეს რაც შეეხება უახლოეს გეგმებს. რამდენ ხანს გასტანს თანამშრომლობა და შესაბამისად მათი სამომავლო გეგმები, კომპანია ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს.

ახალი პროექტის საშუალებით საზოგადოება ახალ სახეებს იხილავს. ხუჯაძეს პარტნიორობას გაუწევს კომპანია "5 Line Production-ის" ჯგუფი VIP.

"ეს ალბომი არ იქნება, ტრადიციული. იგი სტილისტურად განსხვავდება სხვა ალბომებისაგან. მასში იამაიკურ ჰანგებზე აიგება ლათინური, იამაიკური სიმღერები, ანუ რეგის ჟანრის მელოდიები. ეს არის საქართველოში პირველი შემთხვევა, როდესაც კეთდება ამ სტილის ალბომი" – განაცხადა დათო ხუჯაძემ. ალბომში შესულ სიმღერებს ხუჯაძე მშობლიურ ენაზე შეასრულებს, მისი პარტნიორი მიკი, კი როგორც თავად ვარსკვლავმა აღნიშნა, "იამაიკურ ენაზე" იმღერებს.

პროექტზე ერთდროულად რამდენიმე მენეჯერი იმუშავებს, რადგანაც კომპანიის აზრით ეს საკმაოდ სერიოზული განაცხადია. მათ პირველ პროდუქციას მსმენელი კვირას რადიო "ფორტუნა პლიუსის" საშუალებით მოისმენს.

მოწევა აკრძალულია

"მოწევა აკრძალულია" - ასეთ წარწერას ხშირად შეხვდებით 24 ივლისიდან ნიუ იორკის სხვადასხვა დაწესებულებაში, იქნება ეს ფეშენებელური რესტორანი თუ ისეთი კატეგორიის საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სადაც ოფიციანტისა და ბარმენის ფუნქციას მეპატრონე ასრულებს. მოკლედ, დაახლოებით 78 ათასი ობიექტი არა მარტო კლიენტურის, არამედ შემოსავლის 40 პროცენტის დაკარგვის პირასაა. მართალია, კანონის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორი, ჩარლზ ფუშილო ამას "ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისათვის" შემოღებულ კანონს უწოდებს, მაგრამ ქალაქის სასამართლოებში უკვე გროვდება მოსახლეობისა და "დაზარალებული" მეპატრონეების საჩივრები. გუშინწინ კი გაზეთ International Herald Tribune-ში მომღერალმა ჯო ჯექსონმა საკმაოდ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა ახალი მერის - მაიკლ ბლუმბერგის წინააღმდეგ. "მე ნიუ იორკში ჩამოვედი, რათა იმ ბოჰემის ნაწილი გავმხდარიყავი, რომელიც დღეს გადაგვარების გზას ადგას. აბა მითხარით, სად უფრო კარგად ვიგრძნობდი თავს? აქ, სადაც საგრიმიოროში 5 პლაკატი ამიკრეს ცხვირწინ "მოწევა აკრძალულია!", თუ ჰამბურგში, ოთახში, სადაც 5 დიდი საფერფლე იქნება? ვერასოდეს ვიფიქრებდი რომ ამას ვიტყოდი - მე აქედან წასვლა მინდა, სადღაც, უფრო თავისუფალ ქვეყანაში, სადაც უმცირესობას (როგორც აქ გვეძახიან) თავისი ადგილი აქვს, სადაც არ გზღუდავენ თავისუფალ არჩევანში. ნუთუ არ არსებობს ალტერნატივა? განა არ შეიძლება მაღალტექნოლოგიურად დამზადებული ვენტილაციის დაყენება? მწეველთათვის ცალკე დაწესებულებების თუ არა, ოთახების შექმნა? რა არის ამაში რთული? მაგრამ მაშინ ვინ გააგრძელებს სულელური კანონების შექმნას, რომელიც ქალაქს თავის სახეს დააკარგვინებს, უსიცოცხლოდ აქცევს?!" - კითხულობს ავტორი. და მართლაც, ნუთუ დადგება ისეთი დრო, როდესაც ამერიკის (მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანად მიჩნეული) რომელიმე მოქალაქე იტყვის – მე, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება მინდა?!

დაბადების დღე

ბიძინა მაყაშვილი

გუშინ ელექტრონული ფოსტით მეგობრისაგან ასეთი წერილი მივიღე: "shabatis nomershi velodebi didi kacis did iubileze did da magar tserils!". მეგობარია და მივხვდი რასაც გულისხმობდა. ზემოთ ნახსენები დიდი კაცი იმ სფეროს წარმომადგენელია, რომლის გამოც მე ჟურნალისტიკაში მოვხვდი; დიდი იუბილე – დიდი კაცის დაბადების დღეა; დიდი და კარგი წერილი კი ისეთი რამ არის, რისი დაწერის არც სურვილი და არც მოტივი არ მაქვს. სურვილი იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია ვცდილობ მოვიცილო როკ-კრიტიკოსის იარლიყი (სხვა თუ არაფერი, აბსურდულია ითვლებოდე იმის კრიტიკოსად, რაც შენს სამშობლოში, ფაქტობრივად, არ არსებობს). მოტივი კი იმიტომ, რომ უკვე 10 წელია როკ-სამყაროში ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ჩემი ყურადღება რომ მიეპყრო. და რამე თუ იყო დასაწერი, 10 წლის წინათ დავწერე.
მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ჩვენი დღევანდელი წერილის გმირი იმდენად გამორჩეული პიროვნებაა, რომ.... თანაც არ მინდა, მეგობარს იმედი გავუცრუო და ამიტომ უმნიშვნელო ცვლილებებით გთავაზობთ წერილს, რომელიც, ზუსტად 10 წლის წინ გამოვაქვეყნე.

სამოცი წლის თინეიჯერი

ეს ამბავი 80-იანი წლების დასაწყისში მოხდა. რუსი საბჭოთა დიპლომატი, რომელიც ამერიკაში მუშაობდა, სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. გამგზავრების წინ დიპლომატის 13-14 წლის ბიჭუნა სახლიდან გაიქცა. მაშინვე ფეხზე დადგა საბჭოთა საელჩო და ამერიკის შესაბამისი სამსახურები, ბიჭი ორიოდე დღეში აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ამერიკულ ცხოვრებას ნაზიარევ ბავშვს უმძიმდა ნაცრისფერ საბჭოეთში დაბრუნება და ცოტა ხნით გაიხანგრძლივა თავისუფალ ქვეყანაში ყოფნის სიამოვნება. როდესაც ამერიკელებმა ბიჭუნა საბჭოთა მისიის წარმომადგენლებს გადასცეს, ბავშვი ღიმილით გამოემშვიდობა ამერიკის უშიშროების სამსახურის მუშაკებს და დაიძახა: "მოიკითხეთ მიკ ჯეგერი!" – ასე დაემშვიდობა ბიჭუნა იმ თავისუფალ სამყაროს, რომლის ყველა დადებითი კომპონენტი მისთვის ამ ინგლისელ როკ-მუსიკოსში იყრიდა თავს.

მიკ ჯეგერი დღეს 60 წლის ხდება ამ პატარა ეპიზოდით შევუერთეთ ჩვენი ხმა იმ უამრავ მილოცვას, როკ-ვარსკვლავი ამ დღეებში რომ ღებულობს. ჩვენი მილოცვა სიტყვაკაზმულობით არ გამოირჩევა; თუმცა მიკს, რომელსაც მისმა ამხანაგმა "როლინგსტოუნზიდან" – ქით რიჩარდსმა შექსპირი უწოდა, სიტყვებით ვერ გააოცებ: "როცა თავში ახალი მელოდია მომივა და არ ვიცი რა ვუყო, მიკს ვაჩვენებ ხოლმე და ისიც ორ წუთში პატარა ოპერას ქმნის. ის ნამდვილი შექსპირია". სანამ კრიტიკოსები და სოციოლოგები მიკის სიმღერების ტექსტებს არჩევენ, მინდა, ერთი უბრალო ფრაზა შეგახსენოთ მისი 1974 წლის სიმღერიდან: "ვიცი, რომ ეს მხოლოდ როკ-ნ-როლია, მაგრამ მაინც მიყვარს". მგონი, ასე ზუსტად არავის მიუთითებია როკ-ნ-როლის ადგილზე ჩვენს ცხოვრებაში.

მსოფლიოში ბევრია ახალი შექსპირი, კიდევ უფრო მეტია როკ-ვარსკვლავი, მაგრამ მიკ ჯეგერი ამაზე მეტია: ის თავისი თაობის სიმბოლოა, ცხოვრების სტილია და მის გარეშე თანამედროვე სამყარო ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა; თუმცა, არ ვიცი, შეიძლება, ვაჭარბებ და იქნებ ეს მხოლოდ როკ-ნ-როლია.

დაბადების დღეს გილოცავთ, მიკ!

P.S. დღეს მიკ ჯეგერი ჰამბურგიდან პრაღაში გადაფრინდება, სადაც კონცერტს ჩაატარებს, საღამოს კი, ჯგუფის წევრებთან და ახლო მეგობრებთან ერთად ვიწრო წრეში წვეულებას მოაწყობს.

ფილანტროპი ტარასოვის "დემონური რიტმები"

ბორჯომის ფესტივალი იმპროვიზაციულ ჯაზს მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

შოსტაკოვიჩის კვარტეტის, ნიკოლაი პეტროვის, კონსტანტინე ორბელიანისა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მიერ ჩატარებული კლასიკური მუსიკის ორი კონცერტის შემდეგ "ხელოვნების ზეიმი" იმპროვიზაციული მუსიკის საღამოთი გაგრძლედა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ფესტივალის საუკეთესო კონცერტი იყო. თუმცა, რამდენიმე ნომერი, უდავოდ, საინტერესო და ქართველი მსმენელისთვის ძლიერ ნოვატორულიც იყო. იმპროვიზაციული ჯაზის საღამოს გმირი ლიტველი დრამერი ვლადიმირ ტარასოვი იყო. საკუთარი დასარტყამი ინსტრუმენტის ძალა მან ფესტივალის გახსნაზეც გვიჩვენა, როდესაც ლიანა ისაკაძესთან ერთად საკუთარი კომპოზიცია შეასრულა.

ვლადიმირ ტარასოვი შარშანდელი ფესტივალის სტუმარიც იყო: "ის, რასაც ლიანა საქართველოსთვის აკეთებს ამ ფესტივალის სახით, მართლაც, სასწაულია", - აღნიშნა დრამერმა. როდესაც ტარასოვზე საუბრობენ, ხშირად იხსენებენ საბჭოთა პერიოდში გავრცელებულ გამოთქმას "დღეს ჯაზს უკრავს, ხვალ კი სამშობლოს გაყიდის". ვლადიმირ ტარასოვი ზუსტად ასე მოიქცა. იმპროვიზაციული ჯაზის დაკვრა, მაშინ როდესაც იგი ასპარეზზე გამოვიდა, მართლაც, ეპატაჟის ტოლფასი იყო. "ის ყოველთვის დისიდენტი იყო მუსიკაში", - აღნიშნავს შოსტაკოვიჩის სახელობის კვარტეტის ალტისტი ალექსანდრ გალკოვსკი. მშობლიური რუსეთიდან, ტარასოვი საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში, ლიტვაში გადაიხვეწა. დღეს იგი რამდენიმე შემადგენლობასთან ერთად გამოდის ევროპაში. პიანისტი პატრიკ შეიდერი და ვოკალისტი ლორან ნიუტონი ტარასოვის ერთ-ერთი უძველესი პარტნიორები არიან: "ჩვენ მრავალი წელი გვაკავშირებს ერთმანეთს და ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თანამშრომლობა".

ირაკლი ბლუიშვილის ფოტო
ტარასოვის დემონური რიტმები

ლორენ ნიუტონი წარმოშობით ამერიკელია. თუმცა კლასიკური ვოკალური განათლება გერმანიაში შტუდგარდში მიიღო. 15 წლის განმავლობაში იგი ვენის ხელოვნების ორკესტრის სოლისტი იყო. მისი პარტნიორები თავის დროზე ენტონი ბრექსტონი, ბობი მაკფერინი, ჰენეს ზებრე და სხვა ცნობილი მუსიკოსები იყვნენ. "ხელოვნების ზეიმი" მასპინძლობს მისი მეუღლის, იაპონელი მხატვრის კოჰო მორის გამოფენასაც.

პატრიკ შეიდერი შოპენის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. მას თორმეტი როიალისაგან შემდგარი ინსტრუმენტების კოლექცია აქვს. ზოგიერთ მათგანს გასტროლების დროს, თან დაატარებს. ბორჯომში იგი უროიალოდ ჩამოვიდა.

ამ შემადგენლობის გამოსვლას ფესტივალზე საკმაოდ არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, "მათი მუსიკა ქაოსიდან იბადება, - აღნიშნა ალექსანდრ გალკოვსკიმ, მაგრამ მაინც განსაზღვრულ წესრიგსა და დრამატურგიას ემორჩილება, ანუ მისი თავისუფლება და იმპროვიზაციულობაც შეზღუდულია". როდესაც ვოკალისტმა ლორა ნიუტონმა სიმღერა დაიწყო დარბაზს სიცილის ტალღამაც გადაუარა. იგი რამდენიმე ტექნიკას ფლობდა, მათ შორის კლასიკურს, ასევე იაპონურ და აფრიკულ ტექნიკებს. მართალია, იგი არც თუ ლამაზი ტემბრითა და სცენურობით გამოირჩეოდა, სამაგიეროდ მსმენელს სიმღერის უჩვეულო მანერით აკვირვებდა. პირველ ნაწილში თავად მუსიკოსებსაც ემჩნეოდათ ოდნავ დაძაბულობა. მეორე ნაწილში მათ უკეთესად მოახერხეს კონცენტრირება. მსმენელმაც უკეთესად აუღო ალღო ახლებურ ჟღერადობას და ტრიოც მეტად გაიხსნა. რამდენიმე კომპოზიცია ძლიერი ემოციური მუხტის მატარებელი იყო.

ერთადერთი რაც, უდავოდ, ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა - ვლადიმირ ტარასოვი გახლდათ. "დემონური რიტმების" ოსტატად აღიარებულმა დრამერმა საკუთარი, ერთი შეხედვით, შეზღუდული ინსტრუმენტის წარმოუდგენელი აკუსტიკური და ტემბრული შესაძლებლობები გადაგვიშალა. მისი რიტმების მაგიას პიანისტის ძალზე უჩვეულო იმპროვიზაციებიც ერთვოდა. მიუხედავად იმისა, რომ ალაგალაგ მათი მუსიკალური ლოგიკა, მხოლოდ და მხოლოდ ქაოსად იქცეოდა, იგი მაინც საინტერესო გამოცდილება გამოდგა ამგვარ მუსიკას შეუჩვეველი ქართველი მსმენელისათვის.

P.S. გამიმართლა და ლიკანში, სადაც "მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" ფესტივალის მონაწილეები და ჟურნალისტები განათავსა, სწორედ ვლადიმირ ტარასოვის მეზობლად აღმოვჩნდით. ჩვენი ნაცნობობაც იქვე, სანატორიუმის ეზოში, ცოტა უცნაური გარემოების წყალობით შედგა. დილით ეზოში გამოსულებმა, გველის წიწილი შევნიშნეთ. ის იყო აურზაური უნდა დაწყებულიყო, რომ თავს ტარასოვი დაგვადგა და გადაწყვიტა ყურადღების ცენტრში მოქცეული გველი გადაერჩინა. დიდი ხნის წვალების შემდეგ, ტარასოვმა გველი მოიხელთა და ტყეში გაუშვა, სადაც ქვეწარმავალს მოსაკლავად აღარავინ გაეკიდებოდა: сегодниа у меня день спасения, - კმაყოფილმა განაცხადა დრამერმა და დამსვენებელთა ფეხთაგან გზაზე გადმოცოცებული ერთი მოზრდილი მუხლუხოც გადაარჩინა.

გაცილება ქართულ-ამერიკულად

შერონ ჰადსონ-დინი საქართველოში სამწლიანი წარმატებული მოღვაწეობისთვის დააწინაურეს

ვერა ნეფარიძე

"მე ამაყი ვარ იმ პროექტებით, რაც თქვენი ინიციატივითა და ჩემი დახმარებით განხორციელდა საქართველოში", - ეს სიტყვები საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშემ შერონ ჰადსონ-დინმა სამადლობელი ტექსტის წარმოთქმისას თქვა. გუშინ ამაყები იყვნენ ის ქართველი ხელოვანები, ვისაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა კულტურის ატაშესთან. ყველა ეს ადამიანი თანამედროვე ხელოვნების გალერეაში მომხიბლავი საქმიანი ამერიკელი ქალბატონის გასაცილებლად შეიკრიბა. შერონ ჰადსონ-დინი გუშინ ქართული სტუმართმოყვარეობითა და ამერიკული წეს-ჩვეულებებით (ფურშეტი, ცოცხალი მუსიკა...) გააცილეს.

სამი წელიწადი დიდი დრო არ არის, თუმცა შერონ ჰადსონ-დინისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მოეპოვებინა ქართველი ხელოვანების სიმპათიები და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ნდობა. საქართველოში აშშ-ს კულტურის ატაშედ სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მას სამუშაოდ ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტში გადაიყვანენ. მაგრამ, უფრო კონკრეტულად, თუ რას გააკეთებს ყოფილი კულტურის ატაშე საკუთარ სამშობლოში, ჯერ თვითონაც არ იცის: "ზუსტად ვერ გეტყვით. სახელმწიფო დეპარტამენტში, ალბათ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საკითხებზე ვიმუშავებ", - გვითხრა ქალბატონმა შერონმა. რაც შეეხება მის შემცვლელს საქართველოში, როგორც საელჩოს წარმომადგენლებისგან შევიტყვეთ, გათავისუფლებულ თანამდებობაზე ახალი თანამშრომელი – როენა კროს-ლანჩევი აგვისტოში დაინიშნება. ვიდრე თბილისში ახალ ატაშეს შეეჩვევიან, ალბათ, ხშირად მოიგონებენ მის წინამორბედს. ალბათ, ყველაზე ნათლად საერთო განწყობა ქეთი დოლიძემ გამოხატა: "ქალბატონი შერონის წყალობით, ჩვენთვის ამერიკის საელჩო უფრო მეტი იყო, ვიდრე საელჩო; ეს იყო ადგილი, სადაც იოლად მივდიოდით".

ივერი ლომთათიძის ფოტო
შერონ ჰადსონ-დინს ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი ემშვიდობება

გუშინ საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშეს "ქართული საქმეების" შესახებ საუბარი არავის დაზარებია მათგან, ვინც "საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის" ორგანიზებულ საღამოს დაესწრო. საზოგადოება, რა თქმა უნდა, ძირითადად, "კულტურული" იყო,ანუ ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან კულტურული მოღვაწეობა აკავშირებთ.

თბილისელმა ხელოვანებმა საკუთარი დამოკიდებულება შერონ ჰადსონ-დინის მიმართ მხოლოდ ამაღლებული სიტყვებით არ გამოხატეს. მხატვრებმა სახელდახელოდ სამახსოვრო, ავტოგრაფიანი ჩანახატები უძღვნეს; იქვე იყო სურვილების წიგნაკი, ვისთვისაც გრძნობების გადმოცემა სიტყვებით უფრო ახლობელია. გუშინდელი საღამოდან ყოფილ კულტურის ატაშეს თბილისიდან ნივთი გაჰყვა: ნინო ზაალიშვილის ნაჩუქარი კოლაჟი, უჩა ჯაფარიძის ნახატის (კოლაჟის შემდეგ კი, ამერიკელი დიპლომატი ქართველი ქალის სახეა), ქართველი ქალის პორტრეტი და სხვა კიდევ რამდენიმე სამახსოვრო ნივთი. საღამოს კულტურის მოღვაწეებთან ერთად, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები, მათ შორის კი ელჩი რიჩარდ მაილსიც ესწრებოდა.

ათეულები

ამერიკაში ვიდეო-ფირზე გამოსული ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

ფილმი/რეჟისორი	მსახიობი	წინა კვირის პოზიცია ჩარტებში	უმაღლესი პოზიცია ჩარტებში
1. "როგორ მოვიშოროთ მამაკაცი 10 დღეში"	მეთიუ მაკკონაჰი, კეიტ ჰადსონი	-	1
2. "ჯეკ კენგურუ" დევიდ მაკნელი	ჯერი ო'კონელი, ენტონი ენდერსონი, კრისტოფერ უოკენი	1	2
3. "ნიუ იორკის ბანდები" მარტინ სკორსეზე	ლეონარდო დი კაპრიო, კემერონ დიაზი, დანიელ დეი ლუისი	-	1
4. "ჯუნგლების წიგნი 2" სტივ ტრენბირთი	გახმოვანება: [illegible]	2	4
5. Air Bud Spikes Back მაიკ სოუტონი	[illegible]	3	2
6. Incredible Hulk [illegible]	გახმოვანება: [illegible]	4	3
7. "ჰარი პოტერი და საიდუმლოებათა ოთახი" კრის კოლამბუსი	დენიელ რედკლიფი, ემა უოტსონი, რუპერტ გრინტი	5	13
8. "განძთა პლანეტა" რონ კლემენტსი, ჯონ მასკერი	გახმოვანება: როსკო ლი ბრაუნი, [illegible]	6	10
9. "ატლანტიდა: მილოს დაბრუნება"	გახმოვანება: კორი ბარტონი, ჯონ მაჰონი	7	7
10. [illegible]	ნიკელოდეონის პროდიუსერები	8	5

ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ბრიტანული კინოთეატრების მონაცემების მიხედვით

ფილმი/რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
1. "ჰალკი" ენგ ლი	ნიკ ნოლტი, ერიკ ბანა, ჯენიფერ კონელი	3.5 მილიონი	5.6 მილიონი
2. "ყოვლისშემძლე ბრიუსი"	ჯიმ კერი, ჯენიფერ ანისტონი, მორგან ფრიმენი	2.0 მილიონი	29.8 მილიონი
3. "ჩარლის ანგელოზები 2" ემ ჯი	კამერონ დიაზი, დრიუ ბერიმორი, ლუსი ლიუ	1.7 მილიონი	14.0 მილიონი
4. [illegible]	[illegible]	1.2 მილიონი	3.3 მილიონი
5. [illegible]	[illegible]	0.5 მილიონი	1 მილიონი
6. [illegible]	[illegible]	0.4 მილიონი	1.3 მილიონი
7. [illegible]	[illegible]	0.3 მილიონი	0.6 მილიონი
8. 2 Fast 2 Furious ჯონ სინგლტონი	პოლ უოკერი, ტაირიზი, ევა მენდესი, [illegible]	0.3 მილიონი	11.3 მილიონი
9. [illegible]	[illegible]	0.2 მილიონი	0.2 მილიონი
10. "მატრიცა: გადატვირთვა" ენდი და ლარი ვაჩოვსკები	კიანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი, კერი-ენ მოსი, მონიკა ბელუჩი, ჯადა სმიტი	0.2 მილიონი	53 მილიონი

კვირის საუკეთესო ათეული ჯაზში ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	სათაური	წინა კვირის პოზიცია
1. დეივიდ სენბორნი	Timeagain	1
2. დაიანა კრალი	Live in Paris	2
3. პიტერ ჩინკოტი	Peter Cincotti	3
4. პეტ მეთენი	One Quiet Night	4
5. დაიანა კრალი	The Look of Love	5
6. ტონი ბენეტი და კეი დი ლენგი	A Wonderful World	6
7. ბოზ სქეგსი	But Beautiful: Standards Volume 1	7
8. სხვადასხვა შემსრულებელი	Lady Sings the Blues	10
9. [illegible]	Swing	8
10. რეჯინა კარტერი	Paganini: After A Dream	9

თანამედროვე როკის კვირის საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	სათაური	წინა კვირის პოზიცია
1. White Stripes	Seven Nation Army	1
2. Jane's Addiction	Just Because	2
3. Chevelle	Send the Pain Below	3
4. "ლინკინ პარკი"	Faint	5
5. "თრეპტი"	Headstrong	4
6. "ატარისი"	The Boys of Summer	7
7. Queens of the Stone Age	Go With the Flow	9
8. "ოდიოსლეივი"	Like A Stone	6
9. "სტეინდი"	So Far Away	10
10. "ქოლდი"	Stupid Girl	8

TV პროგრამა
26 ივლისი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი "ნაითმენი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი "კოლომბო" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კოლომბო" **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მენამული ყვავილი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. "როგორც სარკეში" რეჟ: ინგმარ ბერგმანი. **02.20** მხ.ფილმი "13 მოჩვენება". მთ. რ-ში: ტონტ შალხუნი, ემბეტ დავიდსი.

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "სიკვდილის მიზეზი" **09.50** კონცერტი - ანსამბლი "იმედი" **10.25** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში" **12.25** იაპონური ზღაპრები (სტუდია "ბერიკები") **13.00** მეტრო **13.35** კვალი **14.05** ზღვარი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.00** "მოამბე" **15.15** მხ. ფილმი "მე თქვენ მიყვარხართ" **17.00** საწინდარი **17.30** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ენერგია **19.35** ჰოლივუდის ვარსკვლავები **20.00** ცაიტნოტი **21.10** სერიალი "სასახლე მზეში" 1-ლი ს. **22.00** პროფათეული **22.30** კონცერტი **00.00** მოამბე **00.15** მხ. ფილმი "შანჰაის სიურპრიზი".

პირველი სტერეო

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "უარესი არ არსებობს" მთ. რ-ში ალისია სილვერსტოუნი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "ჰალკი" მთ. რ-ში ერიკ ბანა, ჯენიფერ კონელი. **01.50** "ღამურა" "ქალაქური ლეგენდები". მთ. რ-ში ალისია უიტი, რებეკა გეიჰარდი. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი "ზღვის ქალბატონები" **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი "ლითურგია მე-20 საუკუნის საქართველოში" **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი "ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ფლაბერი" **13.30** მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი" **15.00** მხ.ფილმი "იურული პერიოდის პარკი" **17.00** მხ. ფილმი "ვერტიკალური ზღვარი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ" **22.30** მხ. ფილმი "9 იარდი" **00.20** მხ. ფილმი "მემკვიდრეობა".

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "უკანასკნელ მომენტში" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. სერიალი **15.15** მხ. ფილმი "მხედარი გვიახლოვდება" **17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ჰელოუინი" **01.30** მხ. ფილმი "მკვლელობის ათვლა".

მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **09.55, 12.20, 16.15, 17.50, 18.50** მუსიკა **10.00** სერიალი "ჯონ როსი" **10.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **11.55** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **12.40** მხ. ფილმი "ანგელოზები აქ არ ცხოვრობენ" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.15** "ერთი ნივთის ისტორია" **15.30** სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" **18.05** სერიალი "ჯონ როსი" **18.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-9ს. **21.15** ფილმი-კონცერტი "შერილ ქროუ როკ-ვარსკვლავი" **22.15** ტელემეტრი **22.30** გადაცემა "ოლიმპი" **23.00** მოკლ.მხ.ფილმი "ჩემი მეზობელი გოგონა" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი "გაქრობა".

იმედი

09.00 ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები"მე-13 ს. **10.55** მხ. ფილმი "გოგონები" **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.50** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **15.10** რეტროსკოპი "ესპანეთის მიწა" **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** სერიალი "ყველაფერი იმ ღამის შესახებ" მე-3 ს. **21.05** ქართ. სერიალი "მგლების ხორუმი" მე-6 ს. **22.45** "საღამოს ღიმილი" **23.00** "კლიპ-ლოტო" **00.30** მხ. ფილმი "ინტიმი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** მულტფილმი **10.10** ვიდეოარტი **10.15** კომედია "დაუმარცხებელი ველური" **12.10** მელოდამა "შემოდგომის ლეგენდები" **14.15** ვიდეოარტი **14.20** სათავგადასავლო ფილმი "ლილიპუტები და გოლიათები" **16.10, 19.20, 22.50, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმების კრებული **17.20** ვიდეოარტი **17.25** კომედია "ყუნწი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.30** "პრესდაიჯესტი" **19.35** "ყველანი ვართ პატარები" **19.45** ვიდეოარტი **19.50** "მზე აქ შემიჩერებია" **20.00** თრილერი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" **22.30** "სათქმელი" **23.10** Слово **23.40** "მზე აქ შემიჩერებია" **23.50** მუსიკა **00.50** "ქართული კინო" **3.20** მელოდრამა "მელვინეთა წესები" **05.20** დოკუმენტური ფილმი.

VII არხი

18.10 მობილურები **19.00** "აჩიკუდა **19.20** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.50** ღამის კაპრიზი **20.50** აუდიო - ვიდეო - ტელე **21.30** რაგბი. სამი ერი -ავსტრალია - ახალი ზელანდია **23.05** კომპიუტერული თამაშები **23.15** "კინოკლუბი " - "ჰია" მელოდრამა . რეჟ: მაიკლ კრისტოფერი . როლებში: ანჯელინა ჯოლი, ელიზაბეტ მიტჩელი. **01.10** კომპიუტერული ტექნიკა.

ОРТ

07.10 Сериал "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА" 08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости **08.10** Сериал "Приключения Геркулеса" **09.00** Сериал "Твинисы" **09.20** "Играй, гармонь любимая!" **10.00** "Слово пастыря" **10.15** "Здоровье" **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Александр Абдулов" **12.15** "Шутка за шуткой" **13.10** В.Высоцкий. "История любви, история болезни" **14.40** Док. фильм "Убийца авианосцев" **15.15** Дисней-клуб: "Геркулес" **15.40 Сериал "Темный ангел" 16.30 Комедия "ДАЙТЕ ЖАЛОБНУЮ КНИГУ" 18.15** Док. фильм "Сто дней без Саддама" **19.20 Комедия "СПЕЦАГЕНТ КОРКИ РОМАНО" 20.55** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25 Боевик "ХАРЛЕЙ ДЭВИДСОН И КОВБОЙ МАЛЬБОРО" 00.15 Худ. фильм "ПАЛАЧ" 03.10** Реальная музыка.

РТР

07.00 Худ. фильм "АЛЕКСАНДР НЕВСКИЙ" 08.45 Мультсериал "Джеки Чан" **09.05** "Студия "Здоровье" **09.40** "Золотой ключ" **10.00** "Сборная России" **10.25** "Утренняя почта" **11.00** "Сам себе режиссер" **12.55 Худ. фильм "ЛЕСНОЙ ВОЙН" 13.55** "В поисках приключений" **15.00, 21.00** Вести **15.20 Комедия "ИСКРЕННЕ ВАШ..." 17.00 Футбол. Чемпионат России. "Локомотив" (Москва) - "Ротор" (Волгоград) 19.00** "Моя семья" **20.00** "Аншлаг" **21.20 Комедийный боевик "Полицейский из Беверли Хиллз-2" 23.25 Худ.фильм "СПАСИ И СОХРАНИ" 01.40 Детектив "ЖЕЛЕЗНЫЙ ЛАБИРИНТ" 03.45 Сериал "Клоун".**

НТВ

07.40 Фильм 'ГОРОЖАНЕ' 09.00, 13.00, 17.00 "Сегодня" **09.15 Сериал "Голубое дерево" 10.00** "Без рецепта". Доктор Бранд **10.30** "Путешествия натуралиста" **11.00** "Кулинарный поединок. Россия -США" **12.00** "Квартирный вопрос. Военно-полевой дизаин" **12.50** Спорт "Лотто 6 из 49" **13.15** Шоу "Фактор страха" **14.10 'ВЫСТУПЛЕНИЯ И НАКАЗАНИЕ' 16.10** "Своя игра" **17.20** "Женский взгляд" **18.00 Комедия 'НОВИЧОК' 20.00** "Совершенно секретно"."Русский легион" **20.50 Боевик 'АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-2" 22.00** "Личный вклад" **23.00 Боевик 'ПЯТЫЙ ЭЛЕМЕНТ' 01.35** "Все сразу!" **02.10 Фильм 'НЯНЯ'.**

როგორ იქმნება ლამაზი სხეული

ალბათ, თავადაც ხვდებით, რომ ჯენიფერ ლოპესი მთლად ასეთად არ დაბადებულა, მისი საჯდომი მძიმე შრომის ნაყოფია. არც მადონას ჰქონია თანდაყოლილი ბიცეფსები, ისევე, როგორც ანჯელინა ჯოლის - ფიცარივით მუცელი. მთელი ეს სილამაზე ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგია. თუკი ასეთივე სხეული გნებავთ, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ მშვენიერი არსებების ყურებისას შურით ავად გახდომა და ამის გამო გაძლიერებული კვება არას გარგებთ – არც ქალებს და არც მამაკაცებს. ძალიან სახალისოა, ჩალალაჯის ჭამისას ტელევიზორს მიჩერებული, ნაადრევად ღიპდადებული მამაკაცი თავის ქალბატონს რომ მიმართავს: "აუ, ნახე, რა ტანი აქვს," და ქალბატონიც განიცდის, ნაცვლად იმისა, რომ მიმართოს: "აბა, ერთი შენ გაიარ-გამოიარე და დამენახვე, ძვირფასო..."

ანჯელინა ჯოლი

მცოდნე ხალხი გვარწმუნებს, რომ სინამდვილეში არც ძლიერი და არც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს არაფერი გვაქვს სადარდებელი. თვით ვარსკვლავებსაც თავდაუზოგავი ბრძოლა უწევთ იმის მისაღწევად, რასაც სცენასა თუ ეკრანზე ასეთი ვნებით შევცქერით. ისინი ვარჯიშობენ, მართალია, უბრალო მოკვდავებისგან განსხვავებით, მათ პირადი მწვრთნელები ჰყავთ.

ერთ-ერთი პირველათაგანი ტოპ-მოდელი სინდი კროუფორდი იყო. მან ერთ დღეს გადაწყვიტა, რომ საკუთარი თავი ვინმე რადუ თეოდორესკუსთვის მიენდო. შედეგი სახეზეა: სინდის ზღაპრული სხეულით აღტაცებულმა მსოფლიომ სულ მალე დაიტაცა მისი ვარჯიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

დღეს ჰოლივუდში რამდენიმე პირადი მწვრთნელი ლამის ისეთივე პოპულარულია, როგორიც მათი კლიენტები არიან, და "სხეულის დიზაინი" კარგ ტონად იქცა. ასეთი მწვრთნელი ბრიტნი სპირსსაც ჰყავს, შარონ სტოუნსაც და სილვესტერ სტალონესაც, და მადონა თავის "მხსნელს" პირადი თვითმფრინავითაც კი იძახებს ხოლმე. თავისთავად ცხადია, კვირაში სამჯერ სავსე დარბაზში გახვითქვას ბევრად სჯობს საქმის დაჭერა ისეთ ადამიანთან, რომელიც თქვენს სხეულს ხუთი თითივით იცნობს და ზუსტად იცის, რა გჭირდებათ. უფრო ძვირიანი სიამოვნებაა, მაგრამ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, ნამდვილად ღირს.

ერთ-ერთი ასეთი სახელმოხვეჭილი პერსონალური მწვრთნელი 35 წლის კიროს რამანი გახლავთ, წიგნის Man Power - Personal Trainer fuer Muskeln & Fitness-ის თანაავტორი და მრავალი სახელმოხვეჭილი ადამიანის, მათ შორის, მადონას "სხეულის შემოქმედიც". განათლებით თეატრის მხატვარია, მაგრამ აღმოაჩინა, რომ დახურულ სივრცეში მარტოს მუშაობა დიდად არ იტაცებს და პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა.

პირველი ბიძგი ის გახდა, რომ კიროსმა სიმღერა დაიწყო და ამის გამო საკუთარ სხეულსა და პლასტიკაზეც მოუწია მუშაობა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მასზე უკეთ ამაში ვერავინ ერკვეოდა – ყველა სხვადასხვა რჩევას აძლევდა, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავსაც: როგორ უნდა მდგარიყო, როგორ უნდა ევლო, რა უნდა წარმოეჩინა და რა – არა. საბოლოოდ მან პერსონალური მწვრთნელის საქმის შესწავლა გადაწყვიტა, ჯერ მხოლოდ საკუთარი გარეგნობის შესაქმნელად, შემდეგ კი სხვების "აგებასაც" მიჰყო ხელი. მისი ძირითადი იდეა ის გახლავთ, რომ ის, რაც ერთისთვის საუკეთესო ვარჯიშია, სხვისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს, და ამით განსხვავდება პირად მწვრთნელთან მიღწეული შედეგი ფიტნეს-კლუბებში "ხელ-ფეხის უმისამართო ქნევის" შედეგებისგან.

თავის დიდ წარმატებას კიროსი მარტივად ხსნის: მას თავის კლიენტები უყვარს, თუ თავდავიწყებით არა, შეძლებისდაგვარად მაინც. მისი ფუნქცია მხოლოდ ვარჯიშით არ შემოიფარგლება: ფსიქოთერაპევტისა და დიეტოლოგის როლსაც ასრულებს.

სინდი კროუფორდი

პერსონალური მწვრთნელი, ცხადია, სასწაულმოქმედი ვერ იქნება. თუკი ზარმაცი ადამიანი ბრძანდებით, ის ვერაფერს გააწყობს. ასეთ დროს ფულის ტყუილუბრალოდ ხარჯვას (საკმაოდ სოლიდურ თანხაზეა საუბარი – 90 წუთიანი ინდივიდუალური ვარჯიში საშუალოდ 90 ევრო ღირს), ისევ პლასტიკური ქირურგია აჯობებდა. მშვენიერი სხეულისკენ ლტოლვა დღეს მსოფლიოში ასიათასობით ადამიანს უბიძგებს იმისკენ, რომ ზედმეტი ცხიმი მოიშოროს, ნაოჭები გაისწოროს თუ მკერდის ფორმა შეიცვალოს.

დღეს სხეულის უცებ შეცვლა საშუალო შეძლების მოქალაქესაც შეუძლია. ექიმთან მისულ ყოველ ადამიანს მტკიცედ სჯერა, რომ "ნაკლის" გამოსწორების შემდეგ მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. შეცვლით ნებისმიერ შემთხვევაში შეიცვლება, უბრალოდ, ზუსტად უნდა იცოდეთ, რომ ეს ნამდვილად გჭირდებათ. მიუხედავად დიდი მითქმა-მოთქმისა, პლასტიკური ქირურგია სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა: ჩასმული კბილები და შეცვლილი ფორმის ცხვირი ხომ აღარავის აკვირვებს და, სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, ცხვირი და მკერდი რამ გაყო? განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კბილებს ვარჯიშით ვერაფერს უშველით, მუცელს კი ნამდვილად ეშველება, თან სრულიად უფასოდ. უბრალოდ, ნაკლები უნდა მიირთვათ და დღეში ერთხელ მაინც ოდნავ უნდა გაინძრეთ. ესაა და ეს.



ჯენიფერ ლოპესი

დღეს, 26 ივლისს მიკ ჯაგერი 60 წლის ხდება

60 წლის მიკი-ბოი ისევ თინეიჯერია

მილიონობით ფანისთვის მიკ ჯაგერი როკის არქიტიპული ვარსკვლავია. მისი 40-წლიანი კარიერა სავსეა ფეხობებით, სკანდალებითა და სხვა ხმაურიანი ეპიზოდებით, თუმცა, ჯაგერს დაღლის ნიშნები ჯერაც არ ეტყობა.

მის ანგარიშზეა ანშლაგით ჩავლილი მსოფლიო ტურნეები, მულტიმილიონობით გაყიდული ალბომები, ცოლებისა და საყვარლების ეგზოტიკურად გრძელი ამალა, ნარკოტიკით გატაცების პერიოდი, მამის უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მანამ იცხოვრებს აქტიური ცხოვრებით, სანამ გიტარის ბოლო აკორდი არ მიჩუმდება. საზოგადოების თვალში ჯაგერი ყოველთვის ბოლომდე გახსნილი პიროვნებაა. ჟურნალისტების წყალობით, კაცს, რომელმაც 60-იანი წლების პირველ ხანებში ინგლისის სიმშვიდე დაარღვია, ყველა იცნობს.

და აი, ჯაგერი 60 წლის გახდა და მას ძველებურად აღელვებს ლამაზი გოგონები და კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით მიდის მსოფლიო ტურნეების ჩასატარებლად.

ჯაგერი წარმატებით მოღვაწეობს კინოშიც - ის პროდიუსერობს და შეიძლება ახლაც რომელიმე ახალი ფილმის სცენარს იხილავდეს. თუმცა, რასაც არ უნდა აკეთებდეს მიკ ჯაგერი, ფაქტია, რომ ეს სამომავლო საქმე იქნება. ჯაგერი ხომ ის კაცია, რომელიც მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება და მომავალს ყოველთვის ენთუზიაზმითა და იმედის თვალით შეჰყურებს.

ბიოგრაფიული ცნობები

დაიბადა დარტფორდში, ინგლისში, 1943 წლის 26 ივლისს.

ლონდონის ეკონომიკის სკოლაში სწავლის პარალელურად ჯაგერი უკრავდა ჯგუფში **Little Boy Blue** და **Blue Boys.**

ის "სტოუნზელ" კიტ რიჩარდსთან ერთად სწავლობდა სკოლაში. შემდეგ რიჩარდსი სხვაგან გადავიდა და ბიჭებიც ერთმანეთს დაშორდნენ. თუმცა, რიტმ-ენ-ბლუზით საერთო დაინტერესებამ ისინი რამდენიმე წლის შემდეგ კვლავაც შეახვედრა ერთმანეთს.

1985 წელს დევიდ ბოუისთან ერთად ჩაწერა სიმღერა **Dancing in the Street**-ი, რომლის შემოსავალიც ქველმოქმედებას მოხმარდა.

ჯაგერი პირველად გახდა ფილმის პროდიუსერი "ენიგმაზე" მუშაობის დროს. სცენარში კიტ უინსლეტი თამაშობდა. თავად ჯაგერი კი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მფრინავ ოფიცერს განასახიერებდა.

და კიდევ ერთი...
"სტოუნზების" ერთ-ერთი ადრეული ჰიტი I Wanna Be Your Man ჯაგერს ლენონმა და მაკარტნიმ შესთავაზეს, რომლებიც ისინი ლონდონში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ.

ამერიკული კომპანია **PEPSI COLA**-ს ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შ.პ.ს. "იბერია რეფრეშმენტი" იწვევს 30 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.

აუცილებელი მოთხოვნები
- განათლება უმაღლესი
- უპირატესობა მიენიჭებათ მანქანის მართვის მცოდნე პირებს

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,გამოგზავნოთ ავტობიოგრაფია cv 15 აგვისტომდე ფაქსზე: 9134 58

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გთავაზობთ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს თრეფიქინგის საკითხებზე.
მისამართი: აღმაშენებლის 89/24, (მეტრო "მარჯანიშვილის" უკან), "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, მე-12 სართ.
ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 საათამდე.
ტელეფონი: 95-10-03

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

ცნობილი ფრანგული ფარმაცევტული კომპანია SERVIER Research Group-ის (სერვიე რისერჩ გრუპ) წარმომადგენლობით ოფისს საქართველოში ესაჭიროება

ბუღალტერი/ფინანსისტი
(მამაკაცი/ქალი)

მუშაობის სრული გრაფიკით, რომელსაც პირდაპირი და მუდმივი ურთიერთობა ექნება პარიზის ხათაო ოფისის ფინანსურ და საოპერაციო განყოფილებასთან.

მოთხოვნები: 30 წლამდე ასაკის პიროვნება, შესაბამისი კვალიფიკაციით აღჭურვილი და საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტებში, მუშაობის 2-წლიანი გამოცდილებით (უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო კომპანიების ფილიალებში ბანკებში, საწარმოებში მიღებულ კვალიფიკაციას), ზეპირი და წერითი ინგლისურის და/ან ფრანგულის სრულყოფილი ცოდნით, ასევე ძირითადი კომპიუტერული (Excel, Word, ...) და საბუღალტრო პროგრამების ცოდნით. დამოუკიდებლობა, აკურატულობა და დინამიურობა წარმოადგენს არჩევის უმთავრეს წინაპირობას.

არჩეულ კანდიდატს მიეცემა შემდგომი პროფესიული ზრდის შესანიშნავი შესაძლებლობა.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვიგზავნოთ განცხადება (წერილი, დეტალური CV და ფოტოსურათი) შემდეგ მისამართებზე:

„Servier"-ს საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი,აღმაშენებლის გამზირი 148/3
Fax: 96-05-88

ORS International
22 rue Garnier
92200 NEUILLY SUR SEINE
FRANCE
Fax: +331-5572-7501

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.